








„სურნალ კავშილისა“

I ყვეფი ლექსი—შ. მღვიმელისა	3
II რა გვიყო ჭიაკოკონამ (ბავშობის მოგონება)—ნიკოსი	5
III ვისი ბრალი იყო (ბიძიას ნამბობი)—ჯანასი	13
IV ყვინჩილა ლექსი—დ. თომაშვილისა	29
V ორი ძმა (დავით და კონსტანტინე)—გ. წყალტუბელისა	33
VI ფრინველთა ცხოვრებიდან. (ომრესი).—ილიასი	37
VII ფიზიოლოგიური წერილები (წერილი მეოთხე)—ივ. გამათყელისა	44
VIII საკვირველებანი ბუნებისა № 16 უდიდესი კელეპტარი —ლადო აღნაშვილისა	53
IX სამეცნიერო გასართობი № 6 ხე პურკინჯასი—ბარასი	57
X გულშემატკივარი მეზობელი (იგაფი)—აფ. მ—შვილისა	59
XI მგელი გაჭირვებაში (იგაფი რუსულიდან)—აფ. ბარასისა	60
XII წერილმანი: ხალხური ლექსები, ანდაზები, გამოცანები, ანაგრამა, აკოსტინი და რებუსი	61



თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოების სა-
ქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის სა-
ეპარქიო რჩევამ, 17 ოკტომბერს, გადაწყვიტა ქართუ-
ლი საყმაწვილო სურნალი „კავშილი“ საქართველოს
ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სა-
ხმარებლათ.





ს ა ქ ა რ თ ი ლ ო ნ ა ხ ა ტ ე ბ ი ა ნ ი

ქ უ რ ნ ა ლ ი

იზარდე, შევანე ჯეჯილო.
დაპურდი, განდი უნაოლო.
ა. დ.

№ VI


წელიწადი მეცხრე

თ ვ ი ლ ი ს ი

სტამბა მ. დ. როტინიანცისა || Тип. М. Д. Ротиниани. Гол. оп. т. № 11.
1898.




Дозволено цензурою Тифлисъ, 4-го Юня 1898 гола.



ე ვ ა ვ ი.

ვანხალა შესვდა ტუის შაშვსა
 და ასე უთხრა: „დობილო,
 მინდა რამ გითხრო გულ ახდით
 და კიდევ დაგემობილო.

„განა კაცს სამართალი აქვს,
 ან გემო მისსა სმენასა!
 ნეტავ რას შედავს ბუღბუღში,
 რომ ისე უქებს სტვენასა?!.



„სხვა რომ არ იუოს—მოხუცდა,
 ამბობენ ვეღარ გალობსო,
 კილოც გაუცვდა საბრალოს
 და უბრალოთა წვალობსო;



„თორემ შენც სედავ ამასა
 და ისმენ შენის უურითა,
 დარწმუნდი რასაც გიამბობ,
 არ მომდის მისი შურითა.“

„მხოლოდ ეს მიკვირს — ჩემ კილოს
 აქ, ჩვენში, რათ არ სმარობენ,
 როდესაც სხვაგან ფასი აქვს
 და კიდევაცა ჰქალობენ.“

„თამამათ ვიტყვი ჰანგებსა,
 ვერაზინ დამიწუნებსა,
 თორემა ჰკითხონ ბუს, ჭოტებს,
 ტურებს და მამუნებსა.“

„როდესაც ვგალობ, გრძნობა სწავათ,
 ერთ ალავს ვერა დგებიან,
 შუაგულ ტყეში მიდიან
 და იქიდანა ტბებიან.“

შაშუვა მიუგო: „რას ბძანებთ
 თავს რათ იწუნებთ ქებითა,
 უმეტესობა უურს გიგლებთ
 მოთმენით — მოწიწებითა.“

„მაგრამ, ხომ იცით, ავ-კარგის
 ვაგება ჩვენში ძვირია;
 ფასს რომ ვერ გდებენ, აქ განა
 შეგელა „კრილოვის ვირია!““

რს გვიყო ჭიაკოკონამ!..

(ბავშობის მოგონება)

I.



იდ მარსვის უკანასკნელ კვირაში, ოთხ-
შაბათ დღეს, მე და ჩემმა ამხანაგმა,
შაქრომ, ბევრი ვითამაშეთ კოჭობანა.
ჯერ ისევ მზე მაღლა იდგა, რომ შაქ-
რომ უცბათ წამოიძახა:

— ბიჭო, ნიკო, ამაღამ ჭიაკოკო-
ნობან, კინაღამ დამავიწყდა! მოდი წა-
ვიდეთ სადმე და ჭიაკოკონისათვის თივა
ან ბალახი ვიძოვოთ, თორემ, სომ
ცი, ამაღამ თუ ჭიაკოკონაზე არ გა-
დავსტით, ჩვენ სახლდგომო ტანისამოსს
კუდიანები წაიღებენ და მთელი ღამის
განმავლობაში ათრევენ თურმე ის დაწვევ-
ლილები!

— ბიჭო, ბიჭო, მთლათ არ გადამავიწყდა ამ კოჭო-
ბანაში! — წამოვიძახე მე და მივაჩერდი შაქროს.

— წავიდეთ, ნიკო, და, როგორც იყოს, ვიძოვოთ
სადმე თივა! — მითხრა შაქრომ და კისერზე ხელი გადა-
ხვია.



— მერე, სად ვიძოვოთ? — დავეკითხე მე.

— მენახშირეების სათივედან მოვიზაროთ! — მითხრა მან და თანაც ეშმაკურათ გამიღიმა.

— მერე, როგორ მოვიზაროთ, სათივე ხომ დაკეტილია? —

— სათივეს ერთ კუთხეში ძირი გამოთხრილი აქვს; მე იმ გამოთხრილში შევძვრები და შენ გარეთ დადექი და თვალუური ადევნე, რომ არავინ მოგვეპაროს. თუ მენახშირე მოდიოდეს, საჩქაროთ შემატუობინე.

— ძალიან კარგი, შაქრო — მივუგე მე და ხელ გადახვეულნი გავწიეთ სათივესაკენ.

სიფრთხილით მივიზარეთ სათივესთან. როგორც შაქრომ მითხრა, სათივეს მართლაც ძირი გამოთხრილი ჰქონდა. მივიხედ-მოვიხედეთ და რაკი დავრწმუნდით, რომ არავინ გვიუბრუნებდა, მოვეშხადეთ განზრახვის სისწრულეში მოსაუვანათ. შაქრომ ქუდი მომაბარა და გამოთხრილში შეჭყო თავი. ჯერ ნახევრათ აჩც კი შემძვრალიყო, რომ უცბათ ძაღლის ეეფა და ჯაჭვის ჩხრიალი მოისმა. გულგანხეთილი შაქრო ფართხალით უკანვე გამოვარდა და მიშისაგან ძლივს-ღა სუნთქავდა; მე კი თავი ვეღარ შევიკავე და მოვეყვი ხარხარს.

— როგორ შემაშინა იმ ოხერმა ძაღლმა! — წაილაპარაკა შაქრომ.

— სად იყო ძაღლი! — დავეკითხე მე.

— სულ უკან, კუთხეში იყო დაბმული.

— მერე შენამდის ხომ ვერ მოაწევდა?

— ვერა, მაგრამ უცბათ რომ დაიეფა და ჩემკენ გამოჰქანდა, იმიტომ შემეშინდა...

— რისა გეშინიან, შეძვერი ისევ.

შაქრომ გული გაიმაგრა და ხელახლათ შეძვრა სათივეში; ძაღლი ისევ ჰყეფდა, მაგრამ შაქროს აღარ შეშინებია.

— არიქა, შაქრო! მენახშირე მოდის! — შევძახე შესაშინებლათ.

გულგახეთქილმა შაქრომ საჩქაროთ გამოჰყო თავი გამოსადგურნათ. მე სიცილი დავიწვეე, გატყუებ, რისა გეშინია მეტი, და არ გამოვუშვი. ისევ შეძვრა უკან და ხელ-ხელა მანოდებდა თივას.

უცებ ჯორის ზარების ხმა შემომესმა. გავიხედე ქუჩის ბოლოს, ჯორით მენახშირე მოდიოდა სათივესკენ.

— ბიჭო! შაქრო! მენახშირე მოდის! ძალე გამოძვერი უკან! — შევძახე გარედან და მოვვიშახლე განსაქცევათ.

— დაიკარგე იქით! — გაჯავრებით გამოძახა შიგნიდან, ასე ეკონა კიდევ გატყუებსო.

მენახშირემ დამინახა, შორიდანვე თითი დამიქნია და ჯორი გამოაჭენა.

— მოვიდა მენახშირე, შაქრო! — ერთიც შევძახე და მოვკურცხლე ჩვენი ეზოსკენ, ჭისკართან გავჩერდი და და-

გუწეე ცქერს, მენახშირე როგორ დაიჭერს შაქროს და რას უზამს მეთქი.

საბრალო შაქრო რა განსაცდელში ჩავარდა და მე კი ჩვენი ჭისკრიდან თამაშას ვუმხერდი და გულიანათ ვხარხარებდი...

აგერ მივიდა მენახშირე; შაქრო კი ისევ ჭყრიდა გამოთხრილიდან თივას. მენახშირე მივიდა გამოთხრილთან და ჩუმად გაჩერდა. შაქრომაც გამოჭეო თავი გამოსამკრენათ და ატუსუღი მენახშირე რომ დაინახა, შეშინებულმა შირუტეებსავით დაიღრიალა და უკანვე აპირებდა შეძვრენას. მენახშირე სწვდა კისერში, კატასავით გამოათრია გარეთ და იმდენისცემა, ვიდრე გულს მოიჯერებდა. ბოლოს ყურები აუწია და გამოავლო.

მიწაში ამოგანგლული და ნაცემი შაქრო ტირილით გამოიქცა ჩემკენ და მისაუყუდურა:

— რატომ არ შევატეობინე მენახშირის მოახლოვება?

— აკი შევატეობინე, მაგრამ შენ რომ არ დამიჯერე!

— იმიტომ არ დაგიჯერე, რომ წინეთ იცრუე და ასე მეგონა, მეორეთაც ცრუობდი. წინეთ რომ არ გეცრუენა, მე ასე არ მომივიდოდა!

— მე რა ვქნა, ჩემი რა ბრალა, შენ რომ სიცრუე დამიჯერო და მართალი კი არა?

— დაიკარგე იქით! — შემომიტია შაქრომ და გვერდზე

გადმომხედ — მის გაჯავრებაზე მე გამეცინა და მასაც შევამჩნიე, რომ ტუჩებში ჩუმ-ჩუმად ეცინებოდა. ბოლოს იმანაც ჩემსავით დაიწყო ხარხარი. სიცილით რომ გული მოვიჯერეთ მერე იმაზე დავიწყეთ ფიქრი, თუ სად და როგორ გვემოვნა თივა.

II.

— რა მამაკონდა, ბიჭო! — შევძახე უცბათ შაქროს.

— რა? — დამეკითხა იგი და მომაჩერდა.

— ჩვენ ეზოში, უკან, წელის მხარეს რომ დიდი უშკელებელი ბოჩკა დევს, სულ ხმელი ჩალით არის სავსე! წავიდეთ, შევკრათ და როცა დაბინდდეს, გამოვანართო ქუჩაში და იმითი დავანთოთ ჭიკოკონა!

— მართლა, ბიჭო! — გაეხარდა შაქროსაც. ორივემ სინარულით მოგუურცხლეთ ეზოსკენ, სადაც ბოჩკა გვეგულეობდა. ეს ბოჩკა ეზოს ერთ მიერუებულ კუთხეში ეგდო წამოქცეული ჰატარბ გვერდობზე, და რომ არ დაგორებულყო, ორი ქვა ჰქონდა ამოდებული.

— შენი ჭიჩიკე, დედილო, რა ხმელი ჩაღა!.. ისე აბულბულდება, რომ ალი ზეცას აუწევს! — აღტაცებით წამოიძახა შაქრომ და შევკრდა ჩაღაში.

— შენახშირის ნედლ თივას ეს ჩაღა არა ჯობია! შევძახე სინარულით და შაქროსთან ერთად მეც შევერიე ჩაღაში.



ვგორაობდით ჩალაში და ჩვენ სინხარულს სასდვარნი არა ჰქონდა, რომ ჭიკოცონისათვის ჩალა უკვე გვექონდა დამსადებელი. ამასობაში ბოჩკა დაგორდა. ავირეთ ჩალაში. მიგორავს ბოჩკა, მივგორავთ ჩვენც: ხან იე მოვექცევი ქვეშ, ხან კიდევ შაქრო და ვღრიალებთ, გვიშველეთო! მაგრამ ვინ გვიშველიდა! თურმე ეზოს ბოლოზე წყალი მოდიოდა და რადგან ბოჩკა გვერდობზე ქვით დამაგრებული ჩვენ კოტრიალში გაინძრა, ქვა გამოეცალა და ბოჩკიანათ ზირდაზირ წყალში ჩავგორდით და ორივე ლასათიანათ დავსველდით. კიდევ კარგი წყალი ჰატარა იყო, თორემ შენი მტერი, რომ ჩვენ დღე დაგვადგებოდა!

გამოვედით ნაზირას დაჩეჩქვილ-დაბეგვილ-დასველებულები. ჩვენ ღრიალზე მთელი ჩვენი მეზობლები და სახლის ჰატრონი გამოცვინულიყვენ კარეთ და მათ სიცილსარსარს სასდვარნი არა ჰქონდა.

ჭაი, თქვე ემძაკებო, თქვენა! — მოგვძახა სახლის ჰატრონმა და ჩვენკენ წამოვიდა.

სახლის ჰატრონისაგან შეშინებულნი წყლის მეორე ნაზირს გაუცვივდით, რიუეზე ტანისამოსი გავიმჯრეთ და გაფინეთ მსესე, ტიტვლები იქვე დავსხედით და ტანისამოსის გაშრობას ველოდით. აზრალის დამდეგი რიცხვები იყო, მაგრამ ისეთი შვენიერი მზიანი დღე იყო და ისეთბილოდა, რომ შიშველა ტანზე სრულიად სიცივე არ გვიგრძნობა, ზირიქით დაგვცხა კიდევც.

რადაც ხმა შემოგვესმა. გავისედეთ და ვნახეთ, რომ შაქროს მამა გვეპარებოდა წიკვლით. საჩქაროთ დავსვეტეთ ჩვენა ტანისამოსი და ისე ტიტვლები გავიქცით ქუჩაში. ამ ყოფით მთელი ქუჩა გავირბინეთ, დავეძალეთ შაქროს მამას და სწრაფათ ჩავიცვიით ჯერ ისევ სველი ტანისამოსი. ამ სირბილის დროს მთელი უბნის მაწანწალა ბიჭბუჭები ჩვენ ღაგვდევდნ კიჟინით და ერთი ყოფა დაგვიწიეს. ზოგმა მტვერიც კი შემოგვაყარა ტანზე, მაგრამ ვინ იყო ზასუხის გამცემი?..

პატარა ხანს უკან ისევ ჩვენ ეზოსკენ წავედით და სიფრთხილით შევიპარეთ ეზოში. ბოჩკა თავის ღლაგას მიეტანათ, მაგრამ ჩალა კი აღარ იყო შიგ.

III.

მზე გადავიდა. აგერ ჩამოღამდებოდა კიდევ და ჩვენ-კი ერთი ბეწვა თივა ვერსად ვიპოვეთ ჭიაკოკონისათვის.

— წავიდეთ სანაგვეზე მოვძებნოთ რამე, — მითხრა დაღონებულმა შაქრომ.

— ეჰ, სანაგვეზე თივას რა უნდა? — ვუთხარი მე.

— თივა არა, მაგრამ იქნება ცოტა ჩალა ვიპოვოთ რამე; თუ არა და ფალას-ფულასებს ხომ ვიპოვით, ის დაჯანთოთ და იმაზე გადავსტეთ.

დავეთანხმე და გავეყვი სანაგვეზე, სადაც კარგა ბლომით შევაგროვეთ ძველი ფალას-ფულასი; ორი ჭუჭყიანი ცოცხიც ვიპოვეთ, რამაც ძლიერ გაგვახარა.



დაბინდდა. ჩვენ სინარულს საზღვარი არა ჰქონდა. სანაგვეზე შეკრებილი ფაღას-ფულასი შევიტანეთ ეზოში, ავაროვით ერთ ალაგას, შედაც ის ჭუჭყიანი ცოცხები დავადეთ და მოვუკიდეთ ცეცხლი. ამ ცოცხებმა და ფაღასებმა სულის შემსუთველი სუნი დააყენეს მთელ ეზოში, მაგრამ ჩვენ ცეცხლის დანახვით ისე ვიყავით გატაცებული, რომ არაფერს უურადლებას არ ვაქცევდით. სინარულით ვხტებოდით ცეცხლზე და აღარაფერი გვესმოდა: არც ფაღასების აუროლებული სუნი და არც სხვა რამე; ვიცი-ნოდით, ვევიროდით, ერთ ამბავში ვიყავით...

უცებ ხმა ჩავწვიტეთ. რა იყო? რა მოხდა? ისა, რომ მთელი ეზოს მცხოვრებნი ფაღას-ცოცხების სუნს ფეხზე დაგვიყენებინა და ჩვენ კი არაფერი გვესმოდა, მეტი სინარულისაგან და მხოლოდ მაშინ შევიტყუეთ ვეულაფერი, როდესაც მე სახლის ჰატონმა წამავლო კისერში ხელი და შაქროს კიდევ თავის მამამ.

— თქვე სამაგლებო, თქვენა, ეს დამძალი ფაღასები რომ აციბოლებიათ და აუროლებით აქაურობას, რასა ფიქრობთ! — გვეუბნებოდენ და თან გვცემდენ, რაც შეძლოთ.

მე და შაქრო ძალზე გავევიროდით, გვიშველეთო, მაგრამ ვინ გვიშველიდა? მთელი მეზობლები გარშემო გვეხვიენ და, შევლის მაგიერ, გაიძახოდენ:

— სცემეთ, სცემეთ მაკ მერალებს, ასია მაგათხეო!

ბევრს ვეცადეთ თავის დაღწევას, მაგრამ ვერაფერი გავაწვეეთ და ორივეს ძანამდე გვირტყეს, სანამ თქვენ მოგვეშველებოდით, ჩემო ჰატარა მკითხველებო!

აი რა გვიყო ჭიაკოკონამ!..

ვისი ბრალი იყო?



(ბიას ნამბობი.)

ატოს დაბადების დღე არის. რამდენი ხანია, რაც ის მოუთმენლათ ელოდა ამ დღესასწაულს; წინა ღამით სულ იმის ფიქრში იყო, თუ როგორ კაბას ჩა-ცვამდა, როგორ დაუხვდებოდა სტუმრებს, როგორ დაიჭერდა მათთან თავს...

პირი დაიბანა თუ არა, ტანისამოსის ჩაცმა ვერც კი მოასწრო, რომ ზარამ დაიწკრიალა და რამდენსამე ხანს შემდეგ ნატოს, დეიდა მარიამის ხმა შემოესმა: — სად არის ჩემი პატარა მზეთ-უნახავიო. ნატოს დედას მოსვლა გაეხარდა, მაგრამ გული კი დაწყდა, რომ ახალ კაბაში ვერ დაუხვდა. — ჯერ არ შემოხვედო, დაუწყო ოთახიდან ყვირილი, მაგრამ დეიდამ ჩაცმა აღარ დააჯალა; შევარდა მის ოთახში და ნატოს კოცნა დაუწყო.

— შე კუდურო, ამდენი ხანი ძილი გაგონილა? ეუბნებოდა დეიდა; — აბა, აღარ დაგიშლი, ჩაიცე თორემ, უცხო ვინმე რომ შემოვიდეს, ასე იტყვის: ეს რა ძილის-გულა მზეთ-უნახავი ჰყოლიათო. მარიამი წამოდგა, წავიდა კარებისაკენ, მაგრამ კარებთან ისევე შედგა, მოუბრუნდა ნატოს და დაეკითხა:

— აბა რა მოგიტანე, თუ იცი?

— საათი! წამოიძახა ნატომ, რომელმაც დიდხანია იცოდა, რა საჩუქარსაც მოუტანდა დეიდა დაბადების დღეს; ახლა ის თორმეტი წლისა იყო და დეიდა კი რამდენი ხანია დაჰპირდა: როცა თორმეტი წლისა გახდები, მაშინ საათს გაჩუქებო.

— ვერ მოგართვი! უპასუხა მარიამმა და გავიდა მეორე ოთახში. ნატო მზიარულათ იცვამდა ტანისამოსს; დეიდამ საათი მოუტანა; მამის პატარა აღარ არის, უკვე დიდი ქალია. ახლა შეუძლია, დიდებ-



თან იჯდეს, მათთან ილაპარაკოს ხოლმე. ამას იქით, როგორც ბავშს- ისე კი აღარ მოეპყრობიან, არამედ როგორც დიდ ქალს. რამდენ-სამე ხანს შემდეგ მორთული ნატო ზალაში გამოვიდა, დეიდას მიე-სალმა და აკოცა, თითქმის პირველათ ენახოს. დეიდამ ჯიბიდან პა-ტარა კოლოფი ამოიღო, გახსნა და იქიდან ამოიღო ერთი ბეწვა საა-თი, როგორიც ნატოს ყველაზე უფრო მოწონდა. ნატოს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; თუმცა საათს წინდაწინვე მოელოდა დეიდისა-გან, მაგრამ თუ ასე შეენიერი, ამდენათ ლამაზი იქნებოდა, არ ეგონა. გულზე დაიკიდა, მალი მალ ამოიღებდა ხოლმე და დახედავდა. მი-ტრო და ნიკო ნატოზე ნაკლებ არ მხიარულობდნ.

— ერთი უყურე, როგორ გამოპრანჭულა! წასჩურჩულა ნიკომ მიტროს და სიცილი დაიწყო.

— როგორ უკვირს საათი! ასე ჰგონია, ჩემს მეტს საათი აღარა-ვის აქვსო. დაუმატა მიტრომ.

— შენ ხომ მაინც არა გაქვს? უპასუხა ნატომ, რომელსაც ძმე-ბის ხუმრობა არ გამოეპარა.

იმათ ყური არ ათხოვეს, ვითომ არ გავევიგონიაო, და ხუმრობა ოხუნჯობა განაგრძეს.

— დეიდა, ბიძია ვასილი როდის მოვა? დაეკითხა მარიამს ნატო.

— სადილობამდის უსათუოთ მოვა, შენ გენაცვალე! აბა შენ დღესასწაულს როგორ გამოტოვებს. უპასუხა დეიდა.

ამასობაში მოსამსახურემ ყველა ჩაიხე მოიპატიჟა და ისინიც ჩაის დასალევ ოთახისაკენ წავიდნ. ნატოს დედა, ლიზა, საქმეში იყო გართული, რადგანაც ბევრ სტუმრებს ელოდა. შეუდგენ თუ არა ჩაის სმას, ზარის ხმა მოისმა: მამიდა თეკლე მოვიდა თავის ქალ-ვაჟით და მეუღლით. შუადღემდის თუთხმეტ კაცამდე მოიყარეს თა-ვი. ნატოს ბევრი საჩუქარი მოუგროვდა: ზოგმა ვერცხლის ნივთები მოუტანა, ზოგმა წიგნები. ყმაწვილებიც ექვსაღვე მოვიდნ, მაგრამ ნატო ხან-და-ხან თუ გაერეოდა მათში, თამაშით კი სრულიად არ თამაშობდა: დარბაისლათ ეჭირა თავი, იჯდა და დიდების ლაპარაკს ყურს უგდებდა.

სტუმრები ძალიან მხარულ გუნებაზე იყვნენ, ყველაზე მეტს საშუალო ტანის, მხარ ბეჭიანი და ლამაზი სახის კაცი ლაპარაკობდა და იცინოდა; ის რომ ხითხითს დაიწყებდა, მთელი ტანი, სკამი, მაგიდა, რომელზედაც ხელი დაეჭინა, და თითქმის იატაკიც, ყველა ერთათ ტოკვას დაიწყებდა ხოლმე. მისი წვერ მოპარსული სახე, რომელსაც სქელი, წაბლის ფერი უღვაშები ვაჟაკურ შეხედულობას აძლევდნენ, ისეთი გამომეტყველებით გამოიყურებოდა ამ დროს, ჟინჯილივით ლეყები, რომლებიც პატრონის ჯანმრთელობას ცხადათ მოწმობდნენ, ისე გამოკვრებოდნენ, თვალები ისე მოიწყურებოდნენ, რომ ყველა მსმენელს სიცილის მადას უღვიძებდნენ და ამის გამო სტუმრებშიაც განუწყვეტელი ხარხარი ისმოდა. ეს კაცი გახლდათ ნატოს მამა როსტომი. როცა როსტომი თითონაც მოიღალა და სტუმრებიც საკმაოთ გაართო, უბისაკენ ხელი წაიღო, საათს დახედა და წამოიძახა:

— უჰ, ხუთი საათი გამხდარა! არ დაეხოცეთ სტუმრები შიმშილით! ლიზა, რალას აგვიანებთ?

— რამდენი ხანია სადილი მზათ არის? უპასუხა ლიზამ, მაგრამ ვასილს ეუცდით.

— უთუოთ საქმემ გააჩერა, თორემ აქამდის როგორ დაიგვიანებდა, ჩამოგრია მუსაიფში მარიამი;— იმას რას ეუყურებთ? დავსნდეთ და ისიც მოვა.

— არ შეიძლება, დედა, უნდა მოეუცადოთ, წარმოთქვა ნატომ და დედისაკენ წავიდა; ბიძია ვასილი ნატოს ნამეტნავათ უყვარდა და და უმისოთაც სადილის ჭამა არ უნდოდა.

— მაშ ნახევარი საათი კიდევ მოვიცადოთ და მეტი კი აღარ შეგვიძლია, გადაჭრა როსტომმა.

ნიკო და მიტროც მოუთმენლათ ელოდნენ ბიძიას მოსვლას, რადგანაც მასთან უფრო თამამი იყვნენ, ვიდრე სხვებთან. ის მათ ართობდა, ამხიარულებდა, სხვა და სხვა ამბავს მოუყვებოდა ხოლმე და ხშირათ კიდევ ეთამაშებოდა. ბავშვებს თან შიოდათ და ამიტომ გული მო-

დიოდათ, რომ ბიძია იგვიანებდა; თან გული წყდებოდათ, ვაი თუ ბიძია სულ არ მოვიდეს, მაშინ ვილა გვეთამაშებო. თამაშს გარდა სხვა ნაირათაც იყო საქმე: მათ დედა ცოტა ღვინოს ასმევდა; ნატოს კი გაუქცებდნენ ხოლმე სტაქანს, რადგანაც ის ყველაზე უკროსი იყო, მათ კი ნახევრათაც არ მოუყრიდნენ; როცა კი ბიძია მათთან სადილათ მოვიდოდა, იმათაც სტაქნებს დაუფსებდა ხოლმე, ლიხას ხვეწნას: დათვრებიან და უზნეობას შეეჩვევიანო, ყურს არ უკლებდა. მიტროს და ნიკოს წინაწინევე გადაწყვეტილი ჰქონდათ: ჩვენ ბიძია ვასილს მოვუჯდეთ გვერდში, თორემ ღვინოს არავინ დაგვალევინებსო; ახლა კი ბიძია არსად იყო და ჩვენი ცელქები საფიქრებელში ჩავარდნენ, ვაი თუ სულ არ მოვიდეს და უღვინო დავრჩეთო. ნახევარმა საათმაც გაიარა. მასპინძელი წამოდგა და სტუმრები სასადილოთ მიიწვია. სტუმრები წამოიშალენ ნელ-ნელა და სასადილო ოთახისაკენ გაემართნენ. ნიკო და მიტრო კი ცხვირ ჩამოშვებულები კარებისაკენ იყურებოდნენ, იქნება ზარის ხმა გავიგონოთო. სტუმრები დასხდნენ; ჩვენმა ცელქებმა იმდენი იეშმაკეს, რომ ცალიერი სკამი თავის გვერდით მოიქცეის, ვინიცობაა, ბიძია მოვიდეს, ჩვენ გვერდში დავსვამთო. ის იყო სადილს შეუდგენ, რომ ზარის წკრიალი გასმა; ბავშვებს სიხარულით სახე გაუბრწყინდათ; მიტრო წამოხტა, უკან ნიკო გამოუდგა.

— ბიძია, ბიძია! მოისმა მალე იმათა მხიარული ყვირილი და რამდენსამე წუთს შემდეგ სტუმრების წინ წარდგა მორჩილი ტანის, ზომიერათ სქელი, შევკრემანი კაცი, რომელიც მიტროსა და ნიკოს იქით აქეთ გაკავებული მოჰყავდათ. სანამ სხვები იტყოდნენ რასმე, ყველას ბიძია ვასილმა დაასწრო:

— უკაცრავათ, რომ დროზე ვერ მოვედი, მაგრამ ჩემი სული და გული მაინც აქ იყო.

— ბატონ ვასილს ვახლოვარ, ბატონ ვასილს! გაისმა სტუმრების ხმა და თან მოჰყვა სკამების ხრიგინი.

ვასილმა ჯერ ნატო დაჰკოცნა, დღეობა მიულოცა და შეენიერ

ყლაში გაკეთებული წიგნები მოუტანა, შემდეგ სტუმრებთან ერთად მაგიდას მოუჯდა.

— ამდენი ხანი რომ დაიგვიანეთ, სასჯელი გეკუთვნით. უსაყველურა ნატომ.

— ჯერ სადილი გაფათავოთ, მაშინ გადაეხდებიან! დაუმატა მიტრომ.

— რასაც თქვენ გადამიწყვეტთ, ყოველისფერს ავასრულებ. — ლიმილით უპასუხა ვასილმა.

— ე მიტრო და ნიკო რომ მანც ამის გვერდით არ მოექცენ, არ იქნება და არა! წარმოთქვა როსტომმა.

მიტრომ და ნიკომ ამის გაგონებაზე ერთმანეთს შეხედეს, თავი ჩალუნეს და სიცილი დაიწყეს.


სადღლი ძალიან მხიარული იყო. ბევრი სადღეგრძელო დაილია, ბევრი სიმღერა ითქვა. ყველამ იმდენი რამ უსურვა ნატოს, რომ, სულ თუ ჩამომეთვალა, მეც მოთინება დამეკარგებოდა და თქვენც. ნასადილევს ყველა ისევ ზალაში გამოვიდნენ. დიდებმა ქალაღდის თამაში გამართეს; ყმაწვილები ერთ მხარეს დასხდნენ, და თავისათვის ლაპარაკობდნენ და ნხიარულებდნენ. ბიძია ვასილი ქალაღდს არ თამაშობდა და ამიტომ ისიც ყმაწვილების კრებას შეუერთდა. რადგანაც ყმაწვილების ხმა-მაღალი ლაპარაკი ქალაღდის მოთამაშებეს ხელს უშლიდა, როსტომმა მოითხოვა, ცოტა დაბლათ ილაპარაკეთო.

— მოდი, ჩვენ ოთახში წავიდეთ! ურჩია ყველას მიტრომ.

ყმაწვილები დათანხმდნენ; მოჰკიდეს იქით აქეთ ბიძიას ხელი და ბტუნვით გასწიეს ოთახისაკენ. ქალებიც, რომლებიც ქალაღდის თამაშობაში მონაწილეობას არ იღებდნენ, მათ გაჰყვენ. შუა ალაგას ბიძია დასვეს ბავშვებმა და თითონ იქით აქეთ შემოუსხდნენ.

— ახლა კი ვეღარსად წაგვიხვალ! წამოიძახა ნიკომ: სადილათ რომ იმდენი გვაცდენინე, ახლა უნდა მოგანანებოთ!

— მართლა ისე გვიან რომ მოხვედით, უსათუოთ უნდა გადაგახდებიანოთ, დაუმატა ნატომ.



— აბა რა გადაუწყვეტოთ ბიძიას? წამოიძახა მიტრომ.

— მოიცათ, აგრე როგორ იქნება? ჯერ მოსამართლე უნდა ამოიჩიოთ და, რასაც ის გადაუწყვეტს, ის უნდა ასრულებიოთ, ურჩია დედამ.

ეს აზრი ყველამ მოიწონა. ბავშვებმა მოსამართლეთ ჯერ დეიდა მარიამი დაასახელეს, მაგრამ ბიძიამ იუარა, ეგ სასტიკ სასჯელს გადამიწყვეტს და გარდა ამისა, ვის გაუგონია, რომ ცოლი ქმრის მოსამართლეთ დაენაშნოსო. ბიძიასავე თხოვნით ლიზა ამოიჩიეს. ცოტახნის თათბირს შემდეგ მოსამართლემ გადაწყვიტა: რადგანაც ბიძიამ სადილათ გაცდევინათ სამაგიეროთ ახლა რაიმე ამბავს უნდა მოგიყვებოდესო. ეს გარდაწყვეტილება ყმაწვილებმა ძალიან მოიწონეს. შემოეხებინ ბიძიას და დაუწყეს ჭლავილ-ჭლუვილი, უსათუოთ უნდა გვიამბო რამეო.

— რა ექნა, რომ არაფერი ვიცი, რა გვიამბოთ? ეუბნებოდნ ბიძია.

— არ შეიძლება, უნდა გვიამბო რამე! იმეორებდენ ჯიუტათ ბავშვები.

— ზღაპარს მოგვიყვი. წამოიძახა ერთმა:

— ზღაპარი არ გვინდა, სხვა რამ გვიამბე. იუარა ნატომ.

— მაშ რაიმე წიგნი მომიტანეთ, თქვენ დასხედით, ყური დაგიგდეთ და მე კი წაგიკითხათ. უპასუხა ბიძიამ.

— ი-ფ! იუცხოვეს ბავშვებმა:—წიგნს ჩვენ კი ვერ წავაკითხათ!

ბიძია დაფიქრდა; ყმაწვილები არაფრით აღარ ეშვებოდენ, გინდა თუ არა, უნდა გვიამბო რამეო; მეტი გზა არ იყო, მათი სურვილი უნდა დაეკმაყოფილებია, მაგრამ, რას მოჰყოლოდა, არ იცოდა; წიგნები ბევრი ჰქონდა წაკითხული, მაგრამ უმეტესი იმგვარი შინაარსისა იყო, რომ ბავშვებს ვერ წაახალისებდა; ისეთი კი არა აგონდებოდა რა, რომ მათ მასწონებოდათ.

— მაშ კარგი! რალაი აღარ მეშვებ-თ, ჩემი ბავშობის თავგადასავალს მოგიყვებით! წარმოთქვა მან ცოტა ხანს შემდეგ.

გახარებულმა ყმაწვილებმა ხმა გაკმინდეს, დაწყნარდენ და ყველამ ბიძის მიაშტერა თვალები.

— „მესამე კლასში ვიყავი მაშინ, როცა ის ამბავი შემემთხვა, რომლის შესახებაც ახლა უნდა გიამბოთ, დაიწყო ბიძიამ. — პატარაობისას ძალიან კარგათ ვსწავლობდი, საუკეთესო შეგირდათ ვითვლებოდი“...

— ყველაფერში ხუთები გყავდა? დაეკითხა უცებ ნიკო.

— ნიკო, გაჩუმდო, თორემ გარეთ გაგადებთ! შემოუძახეს სხვებმა.

— „ხუთი კი არა ზოგში ოთხიც მყავდა, მაგრამ მესამე კლასში ოცდაათი ყმაწვილი ვსწავლობდი და მათში ჩემისთანა ნიშნები არავის არ ჰქონია; ამიტომ პირველ კლასიდან მოყოლებული სულ პირველ შეგირდათ ვითვლებოდი, ამით ძალიან მომქონდა თავი, ვამპარტავენობდი; ამხანაგებში ვმედიდურობდი, რადგანაც ჩემი თავი ყველაზე უფრო ჭკვიანათ მყავდა წარმოდგენილი. მაშინ მე პანსიონში ვიყავი. რამდენსამე შეგირდს, რომლებსაც გაკვეთილების მომზადებაში ვეხმარებოდი, ვუყვარდი, სხვები კი შურის თვალით მიყურებდენ; ზოგიერთს კი, რომლებიც ბევრს ცდილობდენ, მაგრამ ვერა მჯობნიდენ, კიდევცა ვძულდი.

ენკენისთვის გასული იყო. რუსულის გაკვეთილი გექონდა. მასწავლებელმა რამდენსამე კაცს გაკვეთილი გეკითხა; მე, როგორც სხვა დროს, მაშინაც ისე ვიცოდი. მასწავლებელმა, თითქოს ჩემი პასუხი აღარ მოეწონაო, ერთბაშათ წარმოთქვა: — გუშინ ჩვენ ერთი ყმაწვილი მივიღეთ მესამე კლასში, მაგრამ ისეთი ნიჭიერი და მცოდნეა, რომ სულ ყველას გაგყიდისთო! მასწავლებლის სიტყვებმა მოულოდნელათ დამალონეს და ჩამაფიქრეს. — ალბათ გუშინ იმან ჩემზე უკეთ უპასუხა მეთქი, — გავიფიქრე გულში; სხვებს ამ ამბისათვის უტრიც არ უთხოვებიათ, მე კი ძალიან მეწყინა. გათავდა თუ არა გაკვეთილი, ყველა ცნობის მოყვარეობამ გაიბუცა და იმ ყმაწვილზე დაიწყეს ლაპარაკი, ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას; ყველას კი მისი ნახვა ენატრებოდა. რამდენიმე შეგირდმა, რომლებიც მე შურის

თვალთ მიყურებდენ, ნიშნის მოგება დამიწყეს: ზოგი აწი იყავი პირველი შეგირდიო. მთელი ის დღე ჩემ ჩვეულებრივ ქეიფზე აღარ ეყოფილვარ; თან ვფიქრობდი, ვაი თუ მართლა მაჯობოს, — ის ვილაც მოთრეულა, მეთქი, თან კიდევ მოუთმენლათ ველოდი იმის ნახვას, რომ გამეგო, რა ნაირი იყო.

მეორე დღეს, როცა ჩაის შემდეგ წიგნებით კლასისაკენ გავწიე, იქ უკვე ვილაც უცხო ყმაწვილი დამიხედა. — უთუოთ ეს არის მეთქი, — გავიღე გულში და ავაელ-ჩაველე თვალი! იმანაც ამხედ-ჩამხედა, შემდეგ მოჰკიდა გაშლილ წიგნს ხელი და ფანჯრისაკენ წაიქცა. პირველ შეხედვებზედ ჩამებეჭდა მისი სახე და აგებულება. ის იყო შავკრემანი სახისა, ხმელ-ხმელი და მალალი ტანის; ქოჩორი დაბლათ ჰქონდა გაკრეჭილი; რუხი ხალათი და ყელიანი წაღები ეცვა. პირველათ ულამაზო მეჩვენა, მაგრამ სახე კი წყნარი და მშვიდობიანი ჰქონდა. მე ჩემ ალაგას დევჯექი, წიგნი გავშალე, მაგრამ უფრო იმას მიეჩერებოდი, ვიდრე წიგნს. ის კი ფანჯარასთან იდგა, წიგნს კითხულობდა და არაფერს ყურადღებას არ აქცევდა. — „ხომ ეცოდინება, რომ მე პირველი შეგირდი ვარ, ვფიქრობდი ჩემ გუნებაში, — რატომ ერთხელ მაინც აღარ შემომხედა? უთუოთ გულში დამციინის და ამბობს, შენოდენა მე მეორე კლასში ვიცოდით“.

„გაიარა თითქმის ერთმა თვემ. ახალი შეგირდი, რომელსაც სერგო ერქვა, მალე მიეჩვია სასწავლებელს, მოსწავლეებს, მასწავლებლებს; ამხანაგებიც გაიჩინა. მის დამეგობრებას ყველაზე უფრო ისინი ცდილობდენ, ვისაც მე არ ვუყვარდი: ალბათ ჩემ ყინაზე ჩადიოდენ ამას; მალე გაცევენ, გამოვლასპარაკენ; ისიც მათ მიეკვდლა და დაუმეგობრდა; მაშ სულ უბრათ ხომ არ იელიდა?! მაგრამ მე კი ასე მეგონა, თითქო სერგო ყოველსავე ამას განგებ შერებოდა. მასწავლებლის სიტყვები გამართლდა; სერგომ ბევრ საგანში ჩემზე მეტი იცოდა, გაკვეთილებსაც ჩემზე უკეთ სწავლობდა; ნამეტურ რუსული ისე კარგათ იცოდა, რომ მე სად შევედრებოდი! რა იყო შუბრი ან სიძულვილი, მანამდის არ ვიცოდი, მაშინ კი ორივე ერ-

თათ გაეცანი. სერგოს ყოველი კარგი პასუხი და კარგი ნიშანი ჩემში თანდათან მეტ შურს ჰბადავდა. სულ იმის ფიქრში ვიყავი, რათ იცის იმან ჩემზე უკეთ მეთქი. სერგოც პანსიონში იყო. ხასიათით მხიარული იყო, ძალიან კარგი საამხანაგო, მაგრამ ჩემ თვალში უშველებელ ქამათ გადაიქცა. კითხვა ძალიან უყვარდა და, რაკი სალაშოზე გაკვეთილების სწავლას შეეუდგებოდით, ის მაგიდას აღარ მოცილდებოდა; იჯდა თაფალუნული, წერდა და კითხულობდა, სანამ დასაძინებლათ არ დაგვიძახებდენ. იმის მაგიერ, რომ მისგან მაგალითი ამელო, იმისთვის წამებაძა და მეც უფრო ბეჯითათ დამეწყო სწავლა, ბღვერითა და შუღლით ვიყურებოდი იმისაკენ, სწავლაზე კი უფრო ავიცრუე გული. როცა შევირდები მიმართავდენ ხოლმე მას თხოვნით, გაკვეთილი აგვისხენიო, და ისიც ყველას უხსნიდა, ეს უფრო მამრანებდა და უფრო მახელებდა. სერგოს არ ველაპარაკებოდი; ის ერთხელ-ორჯერ კი გამომელაპარაკა, მაგრამ, რაკი შემატყო, რომ უგულოთ და ცხვირ-ჩამოშვებული ვაძლეედა პასუხს, ჩამომეცაღა და ძვირათ თუ დამელაპარაკებოდა.

სამობათ, როცა ნიშნები დაგვირიგეს, მე ერთი სამი მყავდა რუსულ წერაში, სერგოს კი არც ერთი. ამას შემდეგ პირველი შეგარდი მას უწოდეს, მე კი მეორე. ამ გარემოებამ ჩემზე უარესათ იმოქმედა და სერგო საბოლოოთ შემძულდა“...

— იი! ჩვენც კი გვყავს პირველი უჩენიკი, მარა კი არ მძულს წიმოძახა ნიკომ.

— ნიკო, თუ ერთხელ კიდევ თქვი რამე, ოთახიდან გაგაგდებ, უთხრა ნატომ.

— გამაგდებ რა, აბა შენი ოთახი ყოფილა! წარმოთქვა მედღურათ ნიკომ და მოიყინჩა კისერი.

— ხმა გაკმინდე ერთი! მერე, მერე? მიძახეს ბავშვებმა ბიძიას.

— „ზამთარმა გაიარა. მესამე გაკვეთილი იწყებოდა, როცა ერთი შევირდი ფერ მისღალი შემეარდა კლასში და დაფეთებულსავით წამოძახა:

— პაპუჩატელი მოვიდაო!

— პაპუჩიტელი! გაიმეორა რამდენიმე ხმამ და ერთბაშათ სიჩუმე გამეფდა, თითქო ყველას ენა ჩაუვარდაო. მთელი კლასი, თითქო გაქვავდაო, თავ-თავის ალაგას უძრავათ იჯდა; ფერი ყველას დაჰკარგოდა, ყველას მოხშირებით და ძლიერათ უცემდა გული; მე ხომ ციებიანსავით ვიჯექი ჩემ ალაგას. მზრუნველის მოსვლას ყოველთვის ამ გვარათ მივეგებებოდით ხოლმე...”

ნიკოს რილასიც თქმა უნდოდა, გააღო პირი, აატოკა ენა, მაგრამ უცებ გაახსენდა ნატოს სიტყვები და შეეშინდა; ვაი თუ ღმერთი გაუწყრეს და მართლა გარეთ გამაგდონო და ჩაჩუმდა, სიტყვის მაგიერათ მხოლოთ მზუუ... გაისმა, თან გაცეტებულმა მოუფიქრებლათ თითი ასწია, თითქო თავის თავი მასწავლებლის წინაშე ეგონა კლასში. ყველას სრული წასკდა; თითონ ნიკოსაც გაეცინა და თითი ძირს ჩამოუშვა.

— თქვი, რალაცა გინდა, უთხრა სიცალით ვასილმა.

— გარეთ რომ გამაგდონ, მერე?

— თუ შენი ოთანია, ვინ გაგიბედავს გარეთ გაგდებას?

— მზურველი რა არის?

— მზურველი კი არა მზრუნველი! გაუსწორა დეღამ.

— ჰო, მზრუნველი! გაიმეორა ნიკომ.

— მზრუნველი ქართულათ პოპეჩიტელს ნიშნავს, აუხსნა ზიძიამ და შემდეგ თავისი ამბავი განაგრძო: „მზრუნველი ყველას უშველებელ შიშათ გვაყვდა წარმოდგენილი. ერთი სახელის გაგონება საკმარისი იყო, რომ ყველასათვის შიშის ქარს დაეფლო. მე მაინც ყველაზე უფრო მეშინოდა, რადგანაც პირველ სკამზე ვიჯექი და შემოვიდოდა თუ არა, უმალ ჩემ მაგიდას მოადგებოდა, თითქოს სხვა ალაგი აღარ ყოფილიყოს; დრო გამოშვებით კარებისაკენ ვიყურებოდდი და თან გულში ენატრობდი: ღმერთო იქნება არ შემოვიდეს მეთქი. უცებ ლაპარაკი შემოგვესმა, ჩვენ ავიწყურეთ, კარები გაიღო, მზრუნველი შემოვიდა, და უკან ინსპექტორი შემოჰყვა. ყველა ზეზე წა-

მოვლევით. მან მასწავლებელს ხელი ჩამოართვა, შემდეგ თავი დაგვიკრა, მაგრამ ჩვენ კიდევ არ ვჯდებოდით მეტი მორჩილების ნიშნათ. მხოლოდ მაშინ დავჯექით, როცა ინსპექტორმა გვანიშნა. მზრუნველი ჩემ მაგიდას გაცილდა, იქით წავიდა, სადაც სერგო იჯდა და იმის წინ გაჩერდა. ინსპექტორმა მზრუნველს ლაპარაკი დაუწყო და თან სერგოს გადახედვდა ხოლმე. ლათინური ენის გაკვეთილი იყო, მზრუნველმა სერგოს ლათინური წაკითხა, გადაათარგმნა. როდესაც სერგომ გაათავა, ძალიან მოუწონა.

— აბა ახლა შენ განაგრძეო, მომიბრუნდა ერთბაშათ მზრუნველს. ასეთმა მოულოდნელმა კითხვამ გონება მთლათ დამიბნია, აზროვნება სულ დამიკარგა. წაფელე წიგნს აცანცანებული ხელები, წამოვხტი ზეზე, დავიწყე კითხვა, მაგრამ რას ვკითხულობდი და როგორ, არა მეყურებოდარა, იმდენათ აღელვებული და შემკრთალი ვიყავი, მზრუნველი მალი-მალს მეუბნებოდა, დამშვიდდიო, და თან მისწორებდა; შემდეგ გადამათარგმნია, მაგრამ ბევრი ალაგი ვერ გადათარგმნე, თუმცა მის შემოსვლამდე მასწავლებელმა აგვისხნა და გადაგითარგმნა, რამდენსამე შეგირდს კიდევ ჰკითხა, შემდეგ გამოემშვიდობა მასწავლებელს და წავიდა. ყველამ თავისუფლათ ამოვისუთქეთ; მაგრამ მომდგა მასწავლებელი და კიცხვა დამიწყო: გაზარმაცული, აღარაფერს აკეთებ, აღარ მეცადინობო, გულის ყური სულ სხვაგანა გაქვს, რაც ნახევარ საათის წინ აგისხენით, ის ვერ გაიმეორე და, ძველი რომ ეკითხა, იმას ხომ სულ ვერ ეტყოდლიო.

სალამოზე ინსპექტორმა მთელი შევირდების წინ საყვედური გამომიცხადა:

— შენი თავი მზრუნველს საუკეთესო შეგირდთ დაუუსახელე და შენ კი შემარცხინეო. სერგოს კი ქება დაუწყო, შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა: სულ ყველა ამ ერთის ფასი არა ხართ; აი ამას უნდა წაბაძოთო. ამ გარემოებას ჩემთვის ორგვარი შედეგი მოჰყვა: ერთი რომ ჩემი შური და სიძულვილი უფრო გაიზარდა; ინსპექტორიც, მასწავლებელიც ყველა შემაულდა, ასე მეგონა, თუ



ყველა ჩემ დამცირებას ცდილობდა; ლათინური ენის მასწავლებელი ამას შემდეგ ხუთს მარტო სერგოს უსვამდა, მე კი სამზე ჩამომასკუპა. აშკარა იყო, რომ პირველ საჩუქარს სერგო მიიღებდა, მე კი ან მეორეს მომცემდნენ, ან სულ არა. წარმომიდგა ერთი: ყველა ჩემი წინააღმდეგი იყო, ყველას უნდოდა, რომ მე პირველობა დამეკარგა, საჩუქარი აღარ მიმეღო, და საშინელ ჯაგერში ჩავარდი. მე თუ კარგათ სწავლას ვცდილობდი, იმიტომ კი არა, რომ ცოდნა შემეძინა და თავ ცალიერი არ დავრჩენილიყავი, არამედ იმიტომ, რომ საჩუქარი მოეცათ: მაშინ ყველა პირველ შეგირდს დამიძახებდა, ამხანაგები მე შემომნატრიდნენ, მასწავლებლები მე მაქებდნენ, მშობლები ხომ ჩემ ყოველგვარ სურვილს ასრულებდნენ. იმ წელს მამაჩემი დამპირდა: თუ მეოთხე კლასშიც პირველი საჩუქრით გადახვალ, საათს და პატარა კვიცს გიკვილიო. ახლა კი საათი და კვიციც მეკარგებოდა და დედ-მამისაგანაც საყვედური მომელოდა; ამხანაგების თვალში დამცირება და ზოგისაკან დაცინვაც. გადაეწყვიტე, ყოველგვარ ეშმაკობისათვის მიემართა, რომ სერგოს არ ჩამოვრჩენოდი. როცა მასწავლებელი კლასში რაიმე საწერს მომცემდა, ჩუპათ წიგნს გავშლიდი ხოლმე, დავიდებდი მუხლებზე და იქიდან ეწერდი; თან გაფაციცებით თვალ-ყური მეჭირა, რომ მასწავლებელს არ შეენიშნა; მაგრამ მასწავლებელმა ორჯელ დამიჭირა, ჩემი ნაწერი აღარ წაიღო და წაუკითხავათ ცუდი ნიშანი დამისევა, ყოფაქცევაშიც ცუდი ნიშანი ჩამიწერა ქურნალში და ინსპექტორთანაც დამასმინა. ინსპექტორი გამიწერა, დამტუქსა და გამომიცხადა; თუ კიდევ მიგიმართავს მაგ გენარი სისაძაგლისათვის, მესამე კლასში დავარჩენო. მაგრამ მე ამას იმდენათ არ შევეუშინებივარ, რომ ამგვარი ხერხები დამეიწყებოდა. მაშინ კლასიდან კლასში გადასაყვანათ გამოცდები არ იყო ხოლმე: წლის ბოლოს რამდენსამე საგანში საწერს მოგეცემდნენ და ისე გადაეყავდით. დადგა მაისი. სამ კვირეს შემდეგ სულ ყველას დაგვითხოვედნენ. მამაჩემი წერილს მწერდა სოფლიდან: როდის გავითავდებათ სწავლა, რომ ჩამოვიდეთ. და თან მაგონებდა: აბა შენ იცი, თუ

პირველ შევირდათ ვადახვალ და საჩუქარს მიიღებო; მაშინვე საათს გიყიდი, პატარა კვიცს და ზედ ისეთ კობხა უნაგირს დაგიდგამ, რომ ყველას თვალი ზედ რჩებოდესო. დედაჩემიც ამასვე მწერდა და თან უმატებდა: აბა შენ იცი, როგორ აჯობებ ყველას და მასახელებო.

მასწავლებელმა გამოგვიცხადა, ხეალ თარგმანი გექნებათ და რვეულები მოიტანეთო. იმის მაგიერ, რომ გამემეორებია რამე და მოემზადებულიყავ, პატარ-პატარა ქაღალდები მოვამზადე, ზედ დავწერე, რაც არ ეიცოდი, და ჩაეიდე ჯიბეში. მეორე დღეს, მასწავლებელმა რამდენიმე რუსული წინადადება დაგვაწერია, ჩვენ კი ლათინურათ უნდა გადაგეთარგმნა. რამდენიმე ალაგი მე ვერ გავიგე. ჩაეიყავი ჯიბეში ხელი და მოენახე ჩემი ქაღალდები, მაგრამ მასწავლებელი გაუაცინებთ გვადევნებდა თვალ-ყურს და გადაწერა კი არა ჯიბიდან ამოღებაც ვერ მოვახერხე. ჩემი ყურადღება სულ იმისაკენ იყო მიქცეული, იქნება მასწავლებელი როგორმე გაბრუნდეს, დაწერალი ქაღალდები ამოვიღო და რვეულს ქვეშ ამოვდვა მეტი, მაგრამ მასწავლებელი ადგილიდან არ იძროდა და ქორივით დაგვეყურებდა. ზარის ხმა მოისმა. ვაკეთილი გათავდა, მე კი მთელი უკანასკნელი წინადადება გადაუთარგმნელი დამრჩა. მასწავლებელმა რვეულები წაიღო. მაშინვე ჩვეულებისამებრ შევირდები ერთმანეთს მივარდენ და ეკითხებოდენ: - ეს როგორ გადათარგმნე, ეს როგორ გადათარგმნეო. მალე ყველამ გავიგეთ, ვის რაში გექონდა შეცდომა. აღმოჩნდა, რომ მე ხუთი შეცდომა მომსელოდა. - შეიძლობით პირველობა, საჩუქარო, საათო და კვიც-უნაგირო მეთქი, გავივლე გულში. რაც უნდა დამემართოს, შეცდომები უნდა გავასწორო მეთქი, დაეიხმე, მაგრამ როგორ გამესწორებია? ერთი გზა დამჩინოდა: ხშირათ მასწავლებლებს ჩვენი რვეულები ორი-სამი დღე სახლში არ მიჰქონდათ და სამასწავლებლო ოთახში დაკეტილ შკაფში ტოვებდენ. თუ მასწავლებელი ახლა ჩვენ რვეულებს დატოვებდა, შკაფის გაღებას როგორმე მოვახერხებდი. როდესაც ვაკვირდით იილები გავითავდა, ჩამოვჯექი თანჯარაზე და ქუჩისაკენ ცქერა

დავიწყე, რომ მასწავლებელი დამენახა; წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, როდესაც ლათინური ენის მასწავლებელი გამოვიდა და რვეულები კი არ მიჭკნდა. დიდხანს ეუყურე, რომ თვალებს არ მოვეტყუებო, და შემდეგ გახარებული სადილის საქმელათ წავედი. გადავწყვიტე საღამოზე, როცა ჩაის დასალევით დაგვიძახებდნენ, გავპარულიყავ, შევსულიყავ სამასწავლებლოში და შკაფი გამელო. წინდაწინვე რამდენიმე გასაღები ვიშოვნე, ყოველ კლასში შკაფი იდგა სამეღნეების შესანახავათ და იქიდან დავაძრე! სამხარეულოში დანა მოვიპარე და ლურსმანი: ვირიცობაა, გასაღებები არ გამომდგარიყვენ მაშინ ლურსმანისა და დანის იმედი მქონდა. გახდა თუ არა შეიდი საათი, ჩაის დასალევით წაგვიყვანეს. ჩაის დასალევე ოთახში რომ შევედით, მე მეორე კარებში გამოვიპარე და ვსდურთე სამასწავლებლოსაკენ. მართლა დამავიწყდა: სანთელი და წუმწუმაც წინდაწინვე დავიშხადე, ვინიცობაა ოთახში ბნელა ყოფილიყო...“

— წუმწუმა რა არის? იკითხა ნატომ.

— მე რომ მიშლიდი, ქალბატონო, შენ რაღათ ლაპარაკობ? გაგულისდა ნიკო.

— იი, არც კი რცხვენია! წუმწუმა არ იცის, რა არის! დასცინა დას მიტრომ.

— თუ იცი, რას გიკვირს? უპასუხა წყენით ნატომ.

— მაგდენ სალაპარაკოთ კი ღირს? სპიჩკა არის, აუხსნა ვასილიმა და შემდეგ განაგრძო: — „ფენ აკრეფით გავიარე ტალანი...“

— ტალანი რაღა არის? ეს თუ კითხულობს, მე რაღა ვარ? იკითხა მიტრომ და თან ნატოზე მიუთითა.

— შეგრცხვეს! კარიღორი გახლავს! უპასუხა ნატომ, — წელან ძალიან კვებულობდი!

— ჭე ჩემზე მეტი იცის! ალუ ნეკზე არ მიკბინო! ქალბატონო, კაი ორი წლითა ბრძანდები ჩემზე უფროსი. გაგულისდა მიტრო.

— დამაცალეთ, ბარემ გავათავო. განაგრძო ბიძიამ: — „გავიარე ტალანი, შევადე ოთახის კარი, — ბნელოდა. თუმცა ღამეში მშიშარა

ვიყავი, მაგრამ ახლა აღარაფრისა მეწინოდა. მხოლოდ ერთი წადი-
ლით ვიყავი შეპყრობილი. გულის ძაგა ძუგით მოენახე შკაფი, ამო-
ვიღე ჩემი გასაღები, ავანთე სანთელი და დაეუწყე კლიტეს წვალება;
ბევრს ვეცადე, მაგრამ ვერ გავალე: არც ერთი გასაღები არ მიუდგა.
მაშინ ლურსმანსა და დანას მივმართე; რამდენიმე ხნის წვალებას
შემდეგ მომესმა „ჩხაკ“, კარებს გამოვწიე, იჭრიალა და გაიღო.
გულზე მომეშვა; მოენახე ერთ გვერდზე რვეულები, გამოვიღე, მი-
ვიტანე მაგიდაზე, გამოვარჩიე ჩემი რვეული, გადავშალე და დავიწყე
სწორება; შეცდომები გავსწორე, რაც მაკლდა, ისიც მივაწერე, წა-
მოვდექი ზეზე და შკაფისაკენ გამოვწიე, რომ რვეულები ისევ შე-
მენახა, მაგრამ ამ დროს კარებში გამოიხატა ჩვენი მეკარეს სახე და
თან მომესმა:

— ვინა ხარო? ერთი კი დავიყვირე: ვაი მეთქი, და რვეულე-
ბიც და სანთელიც ხელიდან გამივარდა. სანთელი გაქრა; მალე გონს
მოვედი და კარებისაკენ გავექანე გასაქცევათ, მაგრამ მეკარემ ხელი
მტაცა და დაცინვის კილოთი მითხრა: წამობრძანდი — ნაძირატელთანაო.
მოვრთე ტირილი, მაგრამ ვის ჰქონდა ჩემი ჯაფრი. მეკარემ მიმიყვანა ნა-
ძირატელთან და ყოველისფერი უამბო. ნაძირატელმა დაავლო ლამპას ხე-
ლი და გასწია სამასწავლებლოსაკენ. რამდენსამე ხანს შემდეგ ქშინვით
და ბურღლუნით დაბრუნდა, მომეარდა, დამიწყო ჯიგლიგი და ყვირილი;
მე პასუხს არ ვაძლევდი და ხმა მალლა ვლრიალებდი. მეორე დღეს ინსპე-
ქტორმა ყოველისფერი დაწვრილებით იცოდა. ის ცალკე გამიწყრა.

სასაწარკვეთილებაში ჩავარდი, მთელი დღეები ტირილის მეტს არას
ვაკეთებდი; მზათ ვიყავი, ჩემი ცოდვა მომენანებია, ოღონ ახლა ეპა-
ტივებიათ, მაგრამ საგანგებო კრებაზე მასწავლებლებმა ჩემი ბედ-ილ-
ბალი გადაწყვიტეს: სასწავლებლიდან დამითხოვეს და მამა ჩემს წე-
რილი მისწერეს. ჩამობრძანდით, თქვენი შეილი წაიყვანეთო. ამ ამ-
ბის გაგებაზე მამა ჩემი სიბრაზით კინალამ არ გაცოფებულოყო; დე-
დაჩემს მუხლებში ხელი წაეშინა. ორივე რამდენსამე დღეს შემდეგ
ინსპექტორთან გაჩვენე; მეც დამიძახეს. ათრთოლებული წარვდექი

მათ წინაშე. მამა ჩემმა შემომიყვინა, ინსპექტორთანვე შემომიკურთხა და კაიკაი წამარტყა კისერში. მხოლოდ დედამ შემიბრალა ისევე, დამიფარა და თან თვალ-ცრემლიანი მეუბნებოდა: რა გიქნია, შვილო, რაზე გამოგეჭკერი ყელიო. მეც მიმხედარი ვიყავ, რა ცუდი საქმეც ჩაეიდინე, ვნაობდი გულწრფელათ, მაგრამ რაღა დროს. ბევრს ვხევეწენ ინსპექტორს ჩემი დედ მამა, აპატიეთო, მაგრამ ის არაფრით არ დათანხმდა, ყმაწვილებს გამირყენისო, ხოლო რაგორც იქნა, ბოლოს შეჰპირდა, მეოთხე კლასში გადავიყვან, აქედან კი წაიყვანეთ და სხვაგან მიაბარეთო. მაისას გასულს მშობლებმა სოფელში წამიყვანეს, მაგრამ მთელი ზაფხული უგემურათ გაეატარე: მამა ჩემი სწორეთ სიტყვას აღარ მეუბნებოდა, სულ გულ აღრენილი იყო ჩემზე; — შენ მომიწამლე სიცოცხლე, დაგადებ სახლში, მაგრამ ის არ იფიქრო, რომ მუქათ პური გაჭამო, მოგიყენებ ღორებს და დაგესხმის თავს ლაფიო. მართლა ვშიშობდი, ვაი თუ მამაჩემმა სახლში დამტოვოს მეთქი, მაგრამ შუამარაამობისთვის ივე წამიყვანა ქალაქში, დედაც წამომყვა და გემნაზიამი მიმაბარეს. აი ეს იყო ჩემი თავგადასავალი“, დააბოლოვა სიტყვა ბიძიამ.

— საათი და კვიცი აღარ გიყიდა, ბიძია, მამამ? დაეკითხა ნიკო.

— რალათ მიყიდდა: საჩუქრას მაგიერათ, სულ დამითხოვეს.

— გემნაზიამაც ისე იქცეოდი? დაეკითხა მატრო.

— არა, იქ ერთობ კარგათ მეჭირა თავი. მე ყოველთვის კარგი ყოფაქცევისა ვიყავი; მხოლოდ ის ერთა შეცდომა მომივიდა, მაგრამ ჩემი ბრალი არც მაშინ ყოფილა.

— მაშ ვისი ბრალი იყო? ჰკითხა ბიძიას ნატომ, მაგრამ ამ დროს მოსამსახურე გოგო შემოვიდა და ყველას მოახსენა:

— გამობრძანდით ჩაი მიირთვიეთო.

ქალები წამოდგენ; ყმაწვილები აყაყანდენ, აქ დაელოთო, ნატოს თავისი კითხვა გადაეფიწყდა, ბიძიასაც. ლიზა ბავშვების სურვილზე არ დათანხმდა, ჩაი ყველამ ერთათ უნდა დაელოთო. ბავშვებმა მოჰკიდეს აქით იქეთ ხელი თავის ბიძიას და სიცილითა და ხარხარით გამოიყვანეს მეორე ოთახში, საცა განიერი მაგიდის შუაგულზე დიდი სამოფარი გაჭიმულიყო და ფუხფუხი გაჰქონდა.



უ ვ ი ნ რ ი ლ ა.


ნ აგავს ჰქმევენ ქათმები,
ფეხებს აფხაკურებენ,
ჭიას ნახვენ, ჰქლავავენ,
დიდხანს არ უეურებენ.

თანაც მხიარულებენ
დიდიან ჰატარებენ;
დედლები მსხვილი ხმითა
კრიახობენ, მღერებენ.

ვარებიც შრომობენ,
წვრილის ხმით დასძახებენ
და წამს გაჩუბდებიან,
როცა ჭია ნახებენ.

შუაში დგას მამალი,
თავს სხვებთანა არა თვლის,—
ერთს ჩაჰკრავს, ხან მეორეს,
თითქო ჭკუას ასწავლის.

აი, გაძღა თავ-სერსა
და მოვიდა ღონეზე,



უცბათ მხრები გამალა
 და შეფრინდა ღობეზე.

—
 იქ ფრთები შეიბერტყა
 და ეიულიო დასძახა;
 მას მეზობლის მამალმა
 მაგიერი შესძახა.

—
 გაიმართა სიმღერა,
 თითქო ჰურის მკაშია,
 გაიმართა ეიული
 ამ ეივანა ხალხშია.

— ვინ უკეთა უივისო,
 ცაიძართა ჯიბრობა,
 მალსე იბერებოდენ,
 აღარ იყო ხუძრობა.

—
 მაშინა თქვა ვვინჩილამ:
 — აბა რის შვილი ვარო,
 თუ გაჭირვების დროსა
 მამას არ მოვეხმარო?

—
 ეს თქვა, მაღლა შეფრინდა,
 შეიბერტვა მანც ფრთები,
 ხრინწიანათ შესძახა,
 სულ დააფრთხო ქათმები.

—
 მას მეზობლის ქათმებმა
 სიცელი დააუარეს;
 შინაურები მოდგენ,
 ავი დღე დააეენეს.

—
 უგელა ერთათ მივარდა:
 — შენ შენთვის იუავიო,
 შე ქორის შესაჭმელო
 ნუ მოგეჭკერი თავიო!

ჯერ შენთვის შეეჩვიე
 კარგი ხმითა თქმასაო,
 შერე თუნდ სულ იმდერე,
 ნუ ჩაიწვევებ ხმასაო.

მამალმაც თქვა: — ტუტუცო,
 ვინა გთხოვდა შეელასო?
 ეურუმსადო, ოხერო,
 თავი მოგვჭერ ევლასო!

ეს თქვა ბოლო-ნამკვლამ,
 გაიქნია დეხები
 და საბრლო ევინჩილას
 გაუხურა გვერდები.

ვარიებმა შესედეს,
 იმათაც კი წაუსვეს
 და საწუალი ევინჩილა
 დაკორტნილი გაუშვეს.

დ. თომაშვილი.

ორი ძმა.



მერეთში, მდ. რიონის ჰირათ, არის ერთი შვენი-
ერთი სოფელი, რომელსაც არგვეთს ეძახიან.
ათას-ორასი წელიწადი ექნება მას აქეთ, რაც
აქ ერთი დიდებული თავადი ცხოვრებდა, გვარათ ერის-
თავი. მას ჰქვავდა ორი ვაჟი დავით და კონსტანტინე.
იმათი დედა მეტის-მეტათ გონიერი მანდილოსანი იყო
და თავისი საუვარელი შვილები საქებურათ აღზარდა; ჰატა-
რაობითვე ჩაუნერგა გულში თავის ქვეყნისა და ხალხის
სიყვარული.

როცა დავითი და კონსტანტინე გააზარდენ, ისეთი ტა-
ნოვანი და ლამაზი შეიქნენ, რომ კაცის თვალი უკეთეს ვე-
რას ნახავდა. მაგრამ მარტო სილამაზით კი არ იყვენ შე-
სანიშნავი. მამამ ადრე მიჰყო ხელი მათ ვარჯიშობას სა-
მხედრო საქმეში: არ იძორებდა საუვარელ ვაჟებს ომიანო-
ბის დროს და თითონ მაგალითს უჩვენებდა იმისას, თუ
როგორ უნდა მტრებთან ბრძოლა. მართლაც ისე განვი-
თარდენ ორივე ძმები ამ საქმეში, რომ მთელ იმერეთში
ტოლი არა ჰქვავდათ და მათი სახელი მთელ საქართველო-
შიაც გაითქვა. როცა მამა გადაეცვალათ, არგვეთის მთავ-
რებათ ისინი ითვლებოდნენ, თუმცა ჯერ ახალ-გაზდები
იყვენ.



მეშვიდე საუკუნეში, როცა დავით და კონსტანტინე ცხოვრობდნენ ჩვენ საუვარელ ქვეყნას საშინელი უბედურება ეწია. იმ ხანებში გაძლიერდა ერთი ხალხი, რომელსაც არაბებს ეძახიან. იმათ მრავალი ქვეყნები დაიპყრეს და ბოლოს საქართველოსაც შემოესივნ.

საქართველოში იმ დროს ორი ძმა არჩილი და მირი მეფობდნენ. არჩილი ქართლში იყო მეფეთ, მირი იმერეთში. არაბები ჰერველათ ქართლს დაეცნ და მთელი ქართლი აიკლეს. ხალხი, ვინც გადარჩა, ტყეში იხიზნებოდნენ; თითონ მეფეც იმერეთში გაიქცა თავის უძე-როს ძმასთან. არაბები რომ ქართლის აკლებას მორჩენ, მაშინ იმერეთისაკენ გასწიეს. არაბების აუარებელ ლაშქარს გამოჩენილი ვახაკაცი მურვანი მოუძღვოდა წინ, რომელსაც ქართველებმა ერთ დარქვეს, მაგრამ ასე იმიტომ კი არ უწოდეს მას, რომ მარი ლა ერთ იყო, არა, ყურთა სმენა მას კარგი ჰქონდა, მაგრამ ისეთი შეუბრალებელი და ჯიუტი რამ იყო, რომ არავითარ თხოვნასა და საჩივარს არ მოისმენდა.

მეფენი—არჩილ და მირი შეშინდნენ და სამეგრელოში გასწიეს. მოწინავე ჯარების უფროსებათ დარჩენ არგვეთის მთავრები—ძმები დავით და კონსტანტინე.

მურვანი დარწმუნებული იყო, რომ იმათი ჰატარა ჯარი ვერას დააკლებდა მის აუარებელ ჯარს და ამიტომაც თავს არ იწუხებდა დიდი სრუნვით. მაგრამ ჰირველ

შეტაკებაზე დავითმა და კონსტანტინემ დაამარცხეს მურ-
ვანის მოწინავე ლაშქარი. მაშინ მურვან ერუ საშინლათ
განრისხდა და უბრძანა ჯარების უფროსებს სულ ერთი-
ანათ მისეოდენ არგვეთის ჯარს. გაიმართა საშინელი
ომი. დავით და კონსტანტინე ლომებივით იბრძოდნენ თავის
მცირე ლაშქრით, მარა აბა რას განდებოდნენ; ურჯულო
მტრებმა სძლიეს ისინი და ორივე ძმები მურვან-ერუს
მიჰკვარეს.

მურვანს ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი ძმების მამა-
ცობაზე და როცა თავის თვალითაც ნახა შვენიერი
ახალ-გაზდა და მამაცი მთავრები, ძლიერ მოეწონა;
უნდოდა ესარგებლა იმათი მამაცობით ქართველებთან
ბრძოლაში და ამიტომ დაუვაავებით მიიღო ისინი, აქო კი-
დეც, ჯილდოსაც დაჰხირდა და ურჩია ჩვენი რჯული მიი-
ღეო. მაგრამ ორივე ძმებმა გაბედვით გადაჭრილი უარი
გამოუცხადეს.

მაშინ გაჯავრდა მურვან-ერუ და უბრძანა, მინამ აწვა-
ლეთ ორივე ძმები, სანამ ქრისტიანობაზე უარს არ იტ-
ვიანო. ასეც მოიქცენ. რა სატანჯელი არ მიაყენეს, და-
ვით და კონსტანტინეს, მაგრამ არ იქნა, — ქრისტეს რჯუ-
ლზე უარი ვერ ათქმევინეს. მაშინ მურვანი კიდე უფრო
განრისხდა და ბრძანა: მოაბით ორივეს დიდრონი ქვები
კისერზე და რიონში გადაჰყარეთო. მისი ბრძანება იმ წამ-
სვე აღასრულეს.

მაგრამ უფალმა ძალე ადღა თავისი მოწამენი. და-
 ღამდა თუ არა, იმ ადგილს სადაც ღვით და კონსტანტი-
 ნე განისვენებდენ, წუხლს ნათლის სვეტი თურმე დადგა
 ზეციდან. იმავე ღამეს, როგორც ამბობენ, ერთმა ღვდელ-
 მა ნახა სიხმაწი, რომ ამოეღო მდინარედან მოწამეთა
 გვაძები, დაეღა ურემზე, შიგ უხედარი ხარები შეება და
 გაეშა უწინამძღვროთ. ისიც, თურმე, ასე მოიქცა. უხედ-
 ნელმა ხარებმა გასწიეს თავის-თავათ, ატარეს-ატარეს ურე-
 ში და სწორეთ იმ ადგილას განიღდენ გამოქვაბულთან,
 სადაც ახლა მოწამეთის მონასტერია. ხალხმა რომ ეს
 ხასწაული ნახა, მოწიწებით გადმოიღეს ურმიდან ღვით
 და კონსტანტინეს წამებული გვაძები და იმ გამოქვაბულში
 დაასვენეს.

განვლო მრავალმა წელმა, მაგრამ მოწამეთა გვაძები
 უსწნელი დარჩენ. მაშინ ღვთის მოუვარე ქართველებმა
 ააშენეს იქ ჰატარს ეკლესია, გამოასვენეს ღვით და კონს-
 ტანტინე გამოქვაბულიდან, ჩაასვენეს ორივე ძმები ერთ
 კუბოში და იმ ჰატარს ეკლესიაში დადგეს. ისინი დღე-
 საც ერთ შევნიერ კუბოში წვანან, ორივე ერთათ, მოწამე-
 თის მონასტერში. ეოველ წელიწადს, როცა იმათი ხსენე-
 ბის დღეა, აუარებელი ხალხი იკრიბება იქ და გულმო-
 დგინეთ ევედრებიან შევლას ღვით და კონსტანტინეს.

გ. წყალტუბელი.



ფრინველთა ცხოვრებიდან.

თ ა მ რ ე ი.

ოცა ქათამს დრო მოუვა, თუ გინდ ბუდე სულაც არ მოუძნადოთ მანაც წავა-წამოვა, გამვრება, განაწრება და სადმე ფარულ ალაგას (ჯაგებში, თივის ბულულში და სსვ.) ხელათ ბუდეს განმართავს და კვერცხების დებას შეუდგება. მერე ბევრიც რომ ეხვეწოთ კრუსობას ვერ მოაძლევენებთ—თავ გამოდებული მიდის გულ-და-გულ და რამდენისამე კვირით იტუსადებს თავს. კრუსობაში გამოვლილი ტანჯვა-წვალება ქათამს ძალე ავიწელება, როცა ჭრელ წიწილებს გამოჩეკს და წინ კრუს-კრუსით, სისარულით გაუძღვება. ახლა რამდენი შიში, სიტკბო და სიმწარე უნდა გამოიაროს ვიდრე მისი მართვნი დაწრისგდებაინ!

მაგრამ ჩვენი ქათამი რა სათქმელია, რამდენათ თავგანწირულნი არიან ფრინველნი (გუგულის გარდა) თავიანთ მომავალ თაობისთვის, ამას შეძვეგი მაგალითი გვიჩვენებს.

ინდოეთის მთებში, გაუვალ უდაბურ ტყეებში, განდევნილთა ცხოვრებს ერთნაირი ფრინველი, რომელსაც მა-

რტო-რქას ეძახიან. მისი უშველებელი, ერთი მტკაველი ნისკარტი ძართლაც რო მარტო-რქას ამსგავსებს, ეს უცნაური ფრინველი, რომელსაც მეცნიერნი ჰომრეის უწოდებენ, ჩვენ ინდოურზე დიდია, მავათ არის შებუბლული, მხოლოდ კისერი, ფრთები და ბოლო თეთრი სოლებით აქვს აჭრელებული. ჰომრეი ხილით იკვებება და ხეხილი კი, რა თქმა უნდა, ულვეელია ინდოეთის დუთიუ კურთხეულ ტყეებში. სასაცილოა როცა ჰომრეი ხილის ჭამას შეუდგება. თუცა უშველებელი ნისკარტი აქვს, მაგრამ მის და საუბეაუროთ ჰირდაჰირ ხილის ჭამას ვერ ახერხებს, ნათქვამია: „კაჭირვეა მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“, ამ ფრინველისათვისაც მიმძილს ჯამბაზობა უსწავლებია; — ჰომრეი მოწუვეტილ ხილს, მაგალითათ თუნდ ვაძლს, ჯერ ჭარში შეისფრის ხოლმე და მერე ჰირ დაღებული თვალს ადვენებს და ჰირში მოიკდებს თუ არა სიამოვნებით ჭეღაზამს.

უფრო კი იმითია შესანიშნავი ამ მარტო-რქა ფრინველთა ცხოვრება, რომ ერთი უცნაური ჩვეულება სჭირთ. კრუსობის დროს დედალი ჰომრეი, ყოველ წლივ, რაძდენისამე კვირით აქოლილ ბუდეში იტუსაღებს თავს, მერე ისე რომ ვიდრე კვერცხებს არ გამოჩეკს არსაით ფეხის გადადგმა არ შეუძლიან.

სადმე უდაბურ ტყეში აირჩევენ ისეთ მაღალ ხეს, რომელზედაც მაიმუნებს ასვლა ვერ შეეძლებათ — ტოტებს ვერ

შეწვდებიან, ამისთანა ხეს ფუტურაც თუ კენწერობი უზო-
გეს მოჩხა და გათავდა, ბუდე მხათაა — ორ სამ დღეში
იმოდენათ ამოდრუტნიან ფუტუროს რომ დედალი მთლათ
პიკ მოთავსდება.

ერთი ევროპელი მოგზაური მასონი მოგვითხრობს!
„დედალი ჰომრეი ხუთ ან ექვს კვერცხსა დებს და რა
წამს კრუსათ დაჯდება, მაშინვე მამალი ჰომრეი კალატო-
ზობას შეუდგება, მოეხიდება ნისკარტით აუარებელ თი-
ხას, სრულებით ამოჭეორამს, ამოაძენებს, ამოჭქოლამს სო-
ლმე ბუდეში შესავალს.“ აბა ნახატს დააკვირდით: დაზა-
ტიმრებულ საცოდავ კრუსს იმდენი ჯუჯუტანა ღა დარჩე-
ნია, რომ ნისკარტი ძლივს გამოუყვია. ახლა ამას იქით
უუწრეთ თქვენ მამალ ჰომრეის ჭაზან წვეეტას; გულ შემა-
ტივარი მამალი მთელი ქალაქი დღე ბეჯითათ უხიდავს
საჭმელს თავის დამწვედულ მეუღლეს. ვიდრე ბარტყები
გამოიჩეკებიან და თავ განწირული დედა სხვატიმროს თავს
დააღწევს, მამალ ჰომრეის თავისი ეძარტება, რადგან იმ-
დენი ხილი უნდა ღიდოს, რომ დედალი არ მოამშიოს
და თავის თავიც არ დაივიწიოს; ამ აუტანელ ორკეც ჯაფის
გამო ერთგული მეუღლე ისე ჩამოხმება სოლმე, რომ ქარს
საითაც უნდა იქით წაიღებს.

მეორე მოგზაური ტიკელი გვიამბობს: „ჰომრეის ისე
კანდეგილათ უუვარს ცხოვრება, რომ ინდოელი მწვემსნიც
კი ძრეულ იშვიათათ ხვდებიან და ისიც მხოლოთ მაშინ





კრუს ჭომრის იმდენი ჭუჭუტანდა დაჩქინა, რომ სასაკტი ძლივს გამოუვია.

როდესაც ეს ფრინველი სასარლათ უვირის. ამ უსიამონო ხმას კი მწეების კარგათ არჩევენ, რადგან ვირის უროუინსა ჰგავს. — ერთხელ სოფლელებმა შემატობინეს — ამბობს ხსენებული მოგზაური — რომ ახლამახლო, ერთ დიდ ხეზე ჭომრეი ბუდობსო და აკერ რამდენიმე წელიწადია ერთი ფულურო ადგილი აქვს ამოჩემებულიო. მეც ცნობის მოუვარეობამ გაძიტაცა, იმ საათშივე გავიძლოლე სოფ-

ლელები და მივაღქვით ერთ უშველებელ ხეს, საძი-
 ნელ მაღალს, რომელსაც დედა-მიწიდან დაწეებული
 რვა საყენის სიმაღლეზე არც ერთი ტოტი არა ჰქონდა,
 რომ კაცს ხელი მოეგლო. აი ამ ხესე კარებ აქოლილ
 ფულურს ბუდეში იჯდა გრუსათ დედალი ჭომრეი, რომ-
 ლის ნახვაც ძრიელ მსურდა, ჩვენ ხუძრობასე ჭომრეიმ
 ნისკარტი ძლივს გამოჰყო და ცალი თვალთ გადმოგვხე-
 და, თითქოს მიგვიზატყა, მაგრამ უეჭველია დაკვცინოდა,
 რადგან კარგათ იცოდა რომ ჩვენ იმასთან ასვლას ვერ
 გავბედავდით. თქვენი ძტერი რომ მე ამ კარემოებამ დაძალო-
 ნა! ჩემ ბედზე სოფლელებში გამოჩნდა ერთი ძარდი ბიჭი, ამან
 არც აცია ანც აცსეკა, — ვაი დედიჩემი დმერთსაო — ერ-
 თი კი შესძახა და ხელათ ჰალოები დთახა; საფეხურგ-
 ბათ თან ჰალოებს ურჭობდა და თან ადიოდა ამ უტოტო
 ხესე. როგორც იყო, რის წვალებით ავიდა ბუდეძის და
 ბუდის კარებს ნგრევა დაუწყო. ამ დროს მოფრინდა მა-
 ძალი ჭომრეი, სასარლათ დაიწყო უვირილი და უროუინი
 და თან კარს უკლიდა ხეს. ხალხს შეეძინდა, ფრინჯლის
 მოკვლა დააპირეს; ან იმ ბიჭს დაეცემა ან ჩვენ გვავენებს
 რასძეო, მაგრამ მე ნება არ მივეცი. ამ დროს ბიჭის
 კვილი შემოგვესმა, ბუდეში ხელი შეეყო და ზემნებულმა
 კრუსმა თურმე ისეთ ნაირათ უკბინა, რომ ტკივილისაგან
 გამწვაებული ბიჭი ცოტას გაწედა ძირს არ ჩამოვარდა.
 გულ მოსულმა ბიჭმა ჩოხის კალთა ხელზე დაიხვია, წაა-

ვლო კრუსს ნისკარტზე სელი და ძირს ჩამოათრია; სა-
ცოდავი ფრინველი დაჰყვით დედამიწასზე. სასიხლარნი რამ
სანახავი იყო, ტალახში და სკინტლებში მოთხუზნული. მერე
ბატონო, მოჭევა კუნტრუმს და ეველას თავის უძველებე-
ლი ნისკარტით გვაშინებდა, საკბენათ იწევდა; ფრენა სრუ-
ლებით არ შეეძლო, რადგან დიდი ხნის ჯდომისაგან
ძთლათ დაბუქებოდა, დაღუნებოდა ძვალ-რბილი და სახ-
სრები. მერე ძლივ-ძლივობით ხის კუნძზე აბობღდა და
იქ მოიკაბლათავა, ბუდე დაჟენილი იყო ფუტურთით, ხის
ქერქებით და ბუმბულებით; შიგნი-შიგან ერთი გასვრილი
კვერცხი ეგდო და იქვე ქლომით ეყარა დამზადი ხილი,
რომლითაც იკუებებოდა შვილებისთვის თავ კანწირული
და ასე თავ-დაღებული დედა-ფრინველი.

ილიკო.



ფიზიოლოგიური წერილები.

წერილი მეოთხე.

სისხლი და მისი შემაღვენელი ნაწილები.



იციდი შენი ამბავი, ჩემო პატარა მკითხველო, რომ ზაფხულობით კითხვა არაფრათ გეხალისება, აღარ მინდოდა შემეწუხებინე, მაგრამ უშენოთ მომეწიინა; ამიტომ ისევ ვაპირობ შენთან საუბარს. თუ შენც მოგეწიინა უჩემოთ, ამას ხომ რაღა აჯობებს! შენ შეიტყე, რისთვისა ეჭამთ საჭმელს, რანაირათ იხარშება საჭმელი კუჭში; გაიგე, რომ სითხეთ ქცეული საჭმელი წელებიდან სისხლში გადადის,

მაგრამ რანაირათ მიაქვს სისხლს საჭმელი ჩვენი ტანის ყველა ნაწილებთან, ან რა არის თვით ეს სისხლი, ხომ არ იცი? — ეჰ, ერთი შენც! რა აგრე უფიცი მნახე, რომ სისხლიც არ ვიცოდეო? იტყვი შენ. მე კი ასე გეონია და; მაშ ყური დამიგდე და, თუ გაემტყუნდი, ქება შენ, მე კი ბოდისის მოხდის მეტი აღარა დამჩრება რა.

სისხლი შედგება თხელი ნაწილისაგან, რომელსაც წბოლი ჰქვია; წბოლში დაცურავენ მრავლისაგან უმრავლესი რკვალი სორსლები, რომლებსაც სისხლის სორსლებს ეძახიან. სორსლები იმდენათ პატარა არიან, რომ, რამდენიც უნდა ეცადო, თვალით ვერ დაინახავ. — თუ კი თვალით ვერ დაინახება, რითი გაიგეს, რომ ისინი სისხლში არიანო? იკითხავ შენ. არის ერთ-გვარი მანქანა — მიკროსკოპი, რომელიც გამადიდებელი შუშების შემწეობით სულ მცირე საგანს იმხელათ აღიდებს, რომ მისი დანახვა და გაშინჯვა შესაძლებელი ხდება. აი ამ მიკროსკოპითგაშინჯეს სისხლი და დაინახეს შიგ რკვალი სორსლები. სისხლის სორსლები ორნაირია: ერთია წითელი, მეორე თეთრი. წითელი სორსლები სი-


სხლში ბევრია, თეთრი კი გაცილებით ნაკლები. გამოკვლეულია, რომ სამას წითელ სორსალზე ერთი თეთრი მოდის. წითელი სორსლები რომ სახლს გამოაცალო მაშინ სისხლს წითელი ფერიც აღარ ექნება. მაშ ახლა შენ იცი, რომ სისხლს წითელ ფერს წითელი სორსლები აძლევენ. ახლა ეს ეკითხვით, რა საჭიროა ერთი მხრით წბოლი, მეორე მხრით სორსლები? რადგანაც წბოლი თხელია, ამიტომ ის ადვილათ მიმოდის ჩვენ ტანში და ყოველ ნაწილთან საზრდო მიაქვს; წითელი სორსლები კი ფილტვებში ჩასულ ჰაერისაგან ისეამენ ჰაერის ერთ ნაწილს—მჭავბაღს, და აძლევენ ჩვენი ტანის ნაწილებს. ამ გვართ სისხლს დააქვს ტანში საზრდო და მჭავბაღი—ორი უმთავრესი ნივთიერება, ურომლისოთაც ჩვენ სიცოცხლე არ შეკვიძლია. მაგრამ ამას გარდა სისხლი ბევრ სხვა საქმესაც ასრულებს: შენ იცი, რომ ჩვენი ტანის ნაწილები, როგორც შიგნით ისე გარეთ, ცვდებიან; ტანში იწეის საქმელი; შეშა რომ ბუხარში იწეის, კომლი ნაცარი და სხვ. ჩნდება, ტანშიც ასევე რჩება საქმლის წესი ისეთი ნივთიერებანი, რომლებიც, ჩვენთვის სახეირო კი არა მანებელი არიან; ჩვენ ესვამთ წყალს, რომელიც სულ არ იხარჯება ტანში,—ყოველივე ეს ტანს უნდა მოშორდეს, თორემ გვაზარალებს; ამ მოვალეობას სისხლი ასრულებს: ის აგროვებს ტანში უფარვის ნივთიერებას, რაც კი გზაზე შეხვდება, და სხვა-და-სხვა ასოებთან მიაქვს; ეს ასოები კი ამ უფარვის ნივთიერებას ტანიდან გზაენიან გარეთ; ამ გვარ ასოებს შეადკენენ ქაჭები, ფილტვები, ტყავი... სამუდამოთ ერთ სახეს ქვეყნიერობაზე ვერაფერი ვერ ირჩენს: ყოველისფერი იშლება, იცვლება; სისხლის სორსლებიც რამდენსამე ხანს შემდეგ იშლებიან და მათ მაგიერ სისხლში მოდის სხვა სორსლები, რომლებიც ძელების ტვინში, ელენთაში და ჯირყვლებში მზადდება. ადამიანის და ყველა პირუტყვის გძელი ძელები შუაში ცალიერი არიან და შიგ ტვინს შეიცავენ; მაგრამ დაიხსომე, რომ ეს ტვინი თავის ტვინს სრულებით არ ჰკავს. მისი გაშინჯვა შენც შეგძლია: ქათმის ან სხვა რისამე გძელი ძეალი ნასადილევს გატეხე და ნახავ, რაწაირიც არის ეს ძელის ტვინი.



ამ ტყინში მზადდება წითელი სორსლები. თეთრი სორსლები მზადდება ელენთაში, ელენთა არის ჩვენი ტანის მარცხენა მხარეს კუჭის გვერდით; ციების დროს ელენთა სვდება, იზრდება და მაშინ ხალხი ამბობს: ტყირპი გამისივდაო. ელენთას გარდა თეთრი სორსლები მზადდებიან პატარ პატარა რგვალ ჯირყვლებში, რომლებიც ტანში ბლომით არიან. ამისთანა ჯირყვლები შეგიძლია გაშინჯო ილიაში, ყბას ქვეშ, ბაყეებში. დიდი ადამიანის ტანში სისხლი დაახლოებით ათი გირვანქა არის.

V.

სისხლის ტკიადი.



სქემა სისხლის მიმომდინარეობისა.

- 1) გულის მარცხენა კოჭი, 2) მარჯვენა კოჭი ს,ს,ს,ს—სუფობიანუ კლავიკულები. 3) გულის მარცხენა უბე, 4) მარჯვენა უბე. 5) მარცხენა კარი, 6) მარჯვენა კარი. ა) აორტა, ზ.დ.გ.—ზედა ღია ვენა, ქ.დ.გ.—ქვედა ღია ვენა. ბ) ფილტვების არტერია, გ) ფილტვების ვენა. 7) ფილტვები, 8) ტანის ქვეითა ნაწილი გულს ქვევით, 9) ტანის ზევით ნაწილი გულს ზევით.

როცა გავიგეთ, რა ყოფილა სისხლი, ისიც უნდა ვიცოდეთ, რა ნაირათ მიმომდინარეობს ის ჩვენ ტანში. სისხლისათვის ტანში არის ორგვარი მილი: ერთს გამოაქვს სისხლი გულიდან და მთელ ტანში ჰფანტავს; მეორე ამ სისხლს აგროვებს და ისევ გულში მოაქვს. პირველ მილებს უძახიან არტერიებს, მეორეს ვენებს. აი შენ წინ არის სურათი, რომლის შემწეობითაც სისხლის მოძრაობას უკეთ გაიგებ. შუა ალაგას არის გული; გული წარმოადგენს თავმწვეტ პარკს, რომლის კედლებიც კუთებისაგან შედგება. ერთ წერილში გითხარი, კუთების შემწეობით ემუშაობთ მეთქი, გული მთელი სიცოცხლე შეუწყვეტლათ მუშაობს და აი სწორეთ ამიტომ აქვს კუთებს კედ-

ლები. ორი თხელი კედლოთ, რომლებიც გულს სიგძე-სივანეზე გადაჭრიან, ის ოთხ ნაწილათ იყოფა; ორი ნაწილი მოთავსებულია ზემოთ,—მათ ჰქვია მარცხენა უბე (3) და მარჯვენა უბე (4); ორიც ქვემოთ,—ამათ ეძახიან კოჭობს: მარცხენა კოჭობი (1) და მარჯვენა (2). უბეები კოჭობებს უერთდებიან ორი კარებით (5 და 6), რომლებიც განის კედელში არიან დატანებული. მარცხენა კოჭობიდან გამოდის ერთი დადი მილი, რომელსაც აორტა ჰქვია (ა). აორტას შემწეობით მთელ ჩვენს ტანს ახალი სისხლი მოუდის. გაცილდება თუ არა აორტა გულს, ის უკზავნის ტანს ზედა ნაწილს: თავს, კისერს, ხელებს, ღამდენსამე ტოტს; შენ უნდა წარმოიდგინო, რომ 9-თი აღნიშნული სურათის ალაგი ტანის ზედა ნაწილს უდრის, 8-თი ქვედა ნაწილს—ილღებს ქვეით, 7-ით ფალტებებს. აორტის ტოტები, რომლებსაც ტანის ზედა ნაწილში მიაქვთ სისხლი აქ ერთი ტოტით არიან აღნიშნული. შემდეგ აორტა მოდის ქვემოთ და იყოფა მრავალ მიღებათ ტანის ქვედა ნაწილში; ამ მიღებს არტერიები ჰქვია. არტერიები უფრო წვრილ არტერიებათ იყოფიან, ესენი კიდევ იმდენათ წვნიკ მიღებათ იყოფიან, რომ მათი დანახვა მხოლოთ მიკროსკოპით შეიძლება; ეს მეტათ წვრილი მიღები მთელ ტანში არიან მოდებული; საცა უნდა იჩხვლიტო ნემსი, ყველგან სისხლი გამოგვივა, აქედან აშკარაა, რომ ტანის არც ერთი ალაგი არ არის ისეთი, რომ სისხლის წვრილი მიღებითარ იყოს დახვრელილი.

ტანის ზედა ნაწილისაკენ წასული არტერიებიც ასევე იყოფიან ურიცხვ წვრილ მიღებათ და თავში, ტვინში, კისერში, ხელებში იფანტებიან. ამგვარათ მარცხენა კოჭობიდან გამოდენილი სისხლის ერთი ნაწილი გასწევს ტანის ზედა ნაწილში (9); მეორე ტანის ქვემო ნაწილში (8); წვნიკი მიღებით მთელ ჩვენს მოედება, დაარიგებს საზრდოს, მკაეებადს და თითონ ცალიერი დარჩება—დაძველდება. ამ წვნიკ მიღებიდან სისხლი გადადის სხვა წვნიკ მიღებში, რომლებიც თანდათან ერთდებიან და უფრო სხვილ მიღებს აღგენენ. ეს მიღები არიან—ვენები; წვრალი ვენები ერთდებიან და

უფრო სხვილ ვენებს აღგენენ, ისე როგორც ჩამდენიმე მდინარე შეერთდება და დიდი მდინარე გამოვა. და ბოლოს ისინი შეერთდებიან ერთ დიდ ვენათ ტანის ქვემო ნაწილში (ქ. ლ. ვ.) და მეორე დიდ ვენათ ტანის ზედა ნაწილში (ზ. ლ. ვ.). ამ ორ ვენას მთელი ტანიდან სისხლი ისევ უკან მოაქვს გულისაკენ და ასხამენ მის მარჯვენა უბეში (4); ეს სასხლი დაძველებული, გამოუსადეგარია, მას განხალგება ჭირდება.

მარჯვენა უბიდან დაძველებული სისხლი მარჯვენა კარებით (6) ჩამოდის მარჯვენა კოჭობში (2); მარჯვენა კოჭობიდან იწყება ფილტვების არტერია (ბ), რომელსაც გამოუსადეგარი სისხლი მარჯვენა კოჭობიდან ფილტვებში (7) მიაქვს. აქ ის მრავალ წენიკ მიღებათ იყოფა; სისხლი მთელ ფილტვებს მოედება, ჰაერს მჭებდას აცლის, წითელი სორსლებს შემწეობით და სამაგიეროთ ტანიდან წამოღებულ უფარგის ნივთიერებას ატანს; ამ ნივთიერების შესახებ სხვა დროს შეგატყობივ. ფილტვებში იწყება სხვა წენიკი მიღები, რომლებიც ერთდებიან და აღგენენ ოთხ ფილტვების ვენას; ისინი სურათზე ერთი მილით (გ) არაან აღნიშნული. ფილტვებში განახლებული სისხლი ამ ვენებით ბრუნდება მარცხენა უბეში (ჰ), აქედან სისხლი მარცხენა კარებით (5) ჩამოდის მარცხენა კოჭობში (1); მარცხენა კოჭობი კი განახლებულ სისხლს ისევ ტანს გაუგზავნის აორტას შემწეობით. ზემოთ დაჰაიფიწყდა და აქ გეტყვი, რომ არტერიები ჰქვია აორტას ტოტებს და იმ მილს კიდეც, რომელსაც მარჯვენა კოჭობიდან სისხლი ფილტვებში მიაქვს. ამგვარათ მარცხენა კოჭობიდან (1) გამოსული სისხლი ტანში ძველდება, მარჯვენა კოჭობში (2) ბრუნდება, აქედან ფილტვებში (7) აღის, განახლდება და მარცხენა კოჭობში ბრუნდება, რომ ისევ ტანში დაიფანტოს. მთელ ამ გზას სისხლი ნახევარ მინუტს უნდება ე. ი. მარცხენა კოჭობიდან გამოსული სისხლი ნახევარ მინუტში მთელ ტანს შემოაუფლის და ისევ მარცხენა კოჭობში ბრუნდება. მთელ სიცოცხლის განმავლობაში სულ ასე ტრიალებს სისხლი ჩვენ ტანში: გაჩერდება თუ არა სისხლი, სიცოცხლეც ისობა.

როგორც ხედავ, ჩემო მკითხველო, გულის მოუღის ორგანიზაციის სისხლი: ახალი და დაძველებული. ახალ სისხლს ის უკზანის ტანის ყველა ნაწილებს, ძველს კი ფილტვებში გასაახლებლათ; როცა ტანში გაგზავნილი ახალი სისხლი დაძველებულ და ისევ გულში დაბუნდება, ამ დროს ფილტვებში გაგზავნილი დაძველებული სისხლი განახლებება, გამოსწევს გულში და გული კიდევ მას მთელ ტანს მიაშველებს. ამ გვარ მოქმედების წყალობით ძველი სისხლი შეუწყვეტლათ ახლდება და ტანს ახალი მკვებადიანი სისხლი არასოდეს არ აკლდება.

ეს წერილი ძნელი გასაგები გეჩვენება, მაგრამ, თუ მოთმინება იქონიე და კითხვის დროს ყოველთვის სურათს მიმართე ხოლმე, მალე გაიგებ და დარწმუნდები, რომ საძნელო არაფერია. ამას შეიძლება შენ თითონ მიხედები, რომ მარცხენა უბე და კოჭობი მუდამ ახალი სისხლით ივსებიან, მარჯვენა კი დაძველებულით.

ახლა ეს ვიკითხოთ, რა ამოძრავებს სისხლს, რომ ის სულ დადის შეუჩერებლათ? რა და გული. გულის მუშაობა ორნაირია: 1) მოკუმშვა — ამდროს გულის კედლები ერთმანეთს უახლოვდებიან და გული ვიწროვდება; 2) მოშვება — ამ დროს გულის კედლები ერთმანეთს შორდებიან და გული განიერდება. გულის მუშაობა ისე არის განაწილებული, რომ უბეები ერთათ მუშაობენ, კოჭბები ერთათ: როცა ორივე უბე მოეშვება, ამ დროს კოჭბები მოიკუმშებიან — ვიწროვდებიან; როცა უბეები მოიკუმშებიან, მაშინ კოჭბები მოეშვებიან — განიერდებიან. ავიღოთ ის დრო, როცა უბეები მოშვებული არიან: ამ დროს მათში სისხლი ჩამოდის ფილტვების ვენებიდან (გ) და ზედა და ქვედა ღია ვენებიდან (ზ. ლ. ვ. და ქ. ლ. ვ.); მალე უბეები სისხლით აივსებიან და მოიკუმშებიან, ამდროს მათი კედლები სისხლს მიაწვება, ამიტომ სისხლი უნდა წავიდეს სადმე. თუ სურათს დააკვირდებით, დაინახავთ, რომ სისხლს უბეებიდან ორი გზა აქვს: ან ისე ზევით უნდა დაბრუნდეს ვენებში, საიდანაც მოვიდა, ან განის ორე კარებით კოჭობებში ჩამოვიდეს.



რომელ გზას ამოირჩევს სისხლი? — რომელიც უფრო ეადვილება. უბეები ზემოდან იწყებენ მოკუმშვას და სისხლს უკან აღარ გაუშვებენ; განის კარებები კი თავისუფალი არიან ზ სისხლი კოჭობებში გამოსწევს; კოჭობებიც ამ დროს მოეშვებიან, განიერდებიან და სისხლით ივსებიან; როცა ამგვარათ უბეები მთელ თავის სისხლს კოჭობებში ჩამოგზავნიან, ისეც მოეშვებიან და სისხლით აივსებიან; სისხლით ავსილი კოჭობები კი ამ დროს მოიკუმშებიან, რომ სისხლი გამოუშვან. აქაც სისხლს ორი გზა აქვს: ან ისეც უბეებში უნდა დაბრუნდეს მარცხენა და მარჯვენა (5 და 6) კარებებით, ან არა და აორტი და ფილტვების არტერიით (ა და ბ) ტანსა და ფილტვებისაკენ გამოსწიოს; კარებებს დატანებული აქვს ხუფები (ხ, ხ, ხ, ხ.); ეს ხუფები ისე არიან მომართული, რომ უბეებიდან კოჭობებში სისხლს თავისუფლათ უშვებენ, კოჭობებიდან უბეებში კი არა: გასწევს თუ არა სისხლი კოჭობებიდან განის კარებებისაკენ, უსათუოთ მიაწვება ან ხუფებს; ხუფები მიიხურებიან და სისხლს ზევით არ გაუშვებენ.

ამაში დარწმუნება შენ უბრალო მაგალითით შეგიძლია: გააღე ოთახის კარები ისე, როგორც ხუფებია სურათზე. ე. ი. ორივე კარი ნახევრათ გააღე; თუ ერთი მხრიდან მიაწვება ორსავე კარს, ისინი უფრო გაიღებიან და გაგიშვებენ, თუ მეორე მხრიდან მოაწვები, მაშინ მიიხურებიან და არ გაგიშვებენ. სისხლმა ამიტომ აორტაში და ფილტვების არტერიაში უნდა გამოსწიოს. როცა კოჭობები ამგვარათ სისხლს მოიშორებენ ისეც მოეშვებიან; უბეები კი მოიკუმშებიან და კოჭობებს სისხლით აივსებენ. აორტიდან და ფილტვების არტერიიდან სისხლი ისეც უკან დაბრუნდებოდა, როცა კოჭობები მოეშვებოდნენ, მაგრამ აქაც ხუფები იმგვარათ არიან დატანებული, რომ სისხლს კოჭობებიდან მიღებში თავისუფლათ გაუშვებენ, უკან კი აღარ აბრუნებენ. შენ შეგიძლია საქონლის გული გაჭრა და საკუთარი თვალთა ნახო ეს ხუფები. ხუფებს ძალიან დი-

დი მნიშვნელობა აქვს: ისინი რომ არ იყვენ, სისხლის ტრიალი შეუძლებელი იქნებოდა; მაგალითათ მარცხენა და მარჯვენა კარებს (5 და 6) რომ ხუფები არა ჰქონდეთ, როცა კოჭობები შეიკუმშებოდნენ, იმას მაგიერ, რომ სისხლი სულ ტანსა და ფილტვებისაკენ წამოსულიყო, უმეტესათ ისევ უკან დაბრუნდებოდა უბეებში, ჩვენი სიცოცხლეც დიდ განსაცდელში იქნებოდა.

მარცხენა გვერდზე თუ ზაწები და მარცხენა ძუძუს ქვეშ ხელს დადებ, გულის ფეთქას იგრძნობ; გულის ფეთქა მიზეზი მისი მოკუმშვა და მოშვება არის: როცა გულის კოჭობები მოიკუმშებიან, მაშინ გულის წვერო გვერდის წკნელებს ხედება და ხელიც ამ დროს ფეთქას გრძნობს. გულს გარდა არტერიებიც ფეთქავენ, რასაც იგრძნობ, თუ საფეთქელზე ხელს დაიდებ, ან მაჯაზე თითს დაიჭერ ცერის დაწვერივ; ვენები კი არ ფეთქავენ, ხელზე რომ ლურჯი ძარღვები გაქვს, ზოლებივით კან ქვეშ გაყოლებული, ესენი სულ ყველა ვენები არიან. გული მთელი სიცოცხლე ამ გვართ მუშაობს. ყოველ მინუტში 80-ჯერ მოიკუმშება და მოეშვება; საათში გამოვა სამოცჯერ მეტი ე. ი. $80 \times 60 = 4,800$, დღეში $4,800 \times 24 = 105,200$; ასე რომ გული ათ დღეში მილიონზე მეტჯერ მოიკუმშება და მოეშვება. აი რა დაუღალავი მშრომელი ყოფილა გული. გულს რაღა ამუშაებს? რა ამოქმედებს ასე მწყობრათ უბეებსა და კოჭებს, რომ როცა უბეები იკუმშებიან, კოჭობები განიერდებიან და უბეებიდან გამოსული სისხლი იესებიან; როცა უბეები მოეშვებიან, რომ ხელ ახლათ აივსონ სისხლით, კოჭობები მოიკუმშებიან, რომ სისხლი ტანში გამოგზავნონ? აკი წინეთ გითხარი: ყოველისფერს, რაც კი ჩვენ ტანში ხდება, ტვინი განაგებს მეტქი. გულსაც ტვინი ამუშაებს: ის ნერვებით შეერთებულია გულთან, მათი შემწვობით ატყობიებს მას თავის ნებას და ამუშაებს. მოიგონე, რომ აორტა, როგორც ხის ღერო, მრავალ ტოტებათ—არტერიებათ იყოფა, არტერიები კიდევ ისეთ წენიკ მიღებათ, რომ მხოლოთ მიკროსკოპით

დაინახება, ამგვარი წენიკი მიღებით მთელი ტანი დახერხილია. როცა გულის მოკუმშვით გამოსული სისხლი ამ წენიკ მიღებში ჩამოვა, სისხლის წბოლი მიღების კედლებში გამოქვანავს ხალმე და ტანის ყოველ წერტილს რწყავს და საზრდოს აწედის. სისხლის მიღებს გარდა ტანში არის კიდევ ერთგვარი მიღები, რომლებითაც ჯირყვლები ერთმანეთთან არიან შეერთებული; და ბოლოს ეს მიღები ერთათ იყრიან თავს და სისხლის მიღებს უერთდებიან. ტანში გამოქვენილი წბოლი ამ მეორე გვარ მიღებში გროვდება და ისევე სისხლში ბრუნდება.

ვანო გამაჩთედი.



საკვირველებანი ბუნებისა.

№ 16.

უდიდესი კელაპტარი (Cactus, Cereus)



ვერია ქვეყანაზე ისეთი უდაბნო ადგილები, სადაც არ მოიპოება სრულიად წყალი. ამისთანა ადგილებში ვერა ხარობს ვერც მცენარე, რადგან წყალი მცენარისათვის უპირველესი საჭიროებაა. მაგრამ წარმოიდგინეთ, არის ისეთი მცენარეებიც, რომლებიც იტანენ ამ საშინელ

უბედურებას.

ამ გვარ მცენარეებში უველახე შესანიშნავია კაკტუსი. კაკტუსი ბევრ-გვარია; მოდის ამერიკის ცხელსა და უწყლო, უდაბნო ადგილებში.

კაკტუსი ამ მხრივ მართლაც რომ საკვირველებია. იქ, სადაც ვერ გასძლებს ვერც ერთი მცენარე, კაკტუსი ჩინებულათ ხარობს, გალადებულია. ისე აქვს მას მოწობილი თავისი ცხოვრება, როგორც შეეფერება იმ ცხელ, გამხმარ, სრიოკ, უდაბნო ადგილებს. — არ გამოეპარება კაკტუსს არც ერთი ცვარი არც მიწაში, არც ჭყარში, რომ

მან არ მიიზიდოს და არ შეწოვოს; არ გაიმეტებს ამან-თანავე არც ერთ წვეთ წყალს, რომ ცუდ-უბრალოთ გასცეს ჰაერში ანუ დაუთმოს ვისმე გაჭირვებულს, რაც უნდ წელის წუურვილითა აკვდებოდეს.

ჩვენ ვიცით, რომ ძირი მცენარისა წოვს დედამიწიდან სინესტეს; ვიცით აგრეთვე, რომ ფოთოლი მცენარისა იმ, მიწიდან ამოწოვილ, სინესტეს უშვებს ჰაერში. მაშასადამე, რაც მეტი აქვს მცენარეს ფოთოლი, იმდენათ მეტს გასცემს ჰაერში სინესტეს და იმდენათვე მეტი დასჭირდება მას წყალი,

კაკტუსს ამ შემთხვევაში სრულებით ზრუნვა არა სჭირდება. მას არ აბია არც ერთი ფოთოლი. მთლათ ის თავის თავათ წარმოადგენს მხოლოდ ერთ ღერს, მწვანე სქელ ქერქ შემოკრულს. იმოდენათ სქელია ეს მისი ქერქი, რომ ვერაფერი სინესტე ვერ გაძობატანს გარეთ და რაც სასუნთქები აქვს, ისიც სულ სქელი ლორწოთია ამოვსებული. ამ გვარათ, რაც მიწიდან მას სინესტე ამოაქვს თითონვე რჩება მთლათ თავისთვის. — ინახავს შავი დღისათვის, უფროსილდება გაჭირებისათვის.

ვერც ვერავინ შეეცდილება მას ამ წვენს! მუდამ მზათ არის საომრათ, თავით ფეხამდე შეიარაღებული. ძირიდან წვერამდე შემოსილია საძინელი ეკლებით და არავის დახლებებს არც ერთ ცვარ სინესტეს უომრათ. ხშირათ, მიუწევია მისკენ წუურვილის მოსაკლავათ რომელსამე ჰირ-

უტევს, მაგრამ ჩქარა გამობრუნებულა ისევ უკან ან და-
კოჭლებული ან თავ-პირ ჩამოღებულად და დასისხლია-
ნებული.

საკვირველი მცენარეა კაკტუსი აგრეთვე თავის მოყ-
ვანილობით. რას იტყვის კაცი ისეთს, რომ კაკტუსი მან
არა ჰგავდეს. ზოგი კაკტუსი კასრსა ჰგავს, ზოგი თაღს,
ზოგი ბოძს, ზოგი ნადირსა ჰგავს, ზოგი ფრინველს,
ზოგი ქვე წარმაგვალს. კაკტუსი თავისი მოყვანილობით
რადაც მოჩვენებაა, — ეველაფერსა ჰგავს თითქმის, მხოლოდ
მცენარეს კი არა. და ამ თავისი გარეგანი სანახაობით
ხშირათ აშინებს საწყალ მკზავრს, ნამეტნავ ღამღამობით.



ამ კაკტუსების მოდგმაში
ეველაზე უფრო თვალ-საჩი-
ნოა ერთი, რომელიც ჩვენ
გვიწერია ამ წერილის სა-
თაურათ, უდიდესი კელაპტარი.

ეს არის ერთი უშველებელი
სვეტი, აძრთული 9—10
საუენის სიმაღლეზე, სწორე,
თავიდან ბოლომდე, როგორც
ანბა კემისა, როგორც ნამდვი-
ლი კელაპტარი.

როდესაც ის მიაღწევს
თავის ნამდვილ სიმაღლეს და

დასრულდება, მაშინ აქეთ-იქით გვერდებიდან გამოუშვებს მკლავებივით თავისავით სქელსა და სწორე ტოტებს, ეს ტოტებიც მერე ერთბაშით აუხვევენ ზევით და იმ მთავარი ღერის სისწორე გაჩერდებიან. ასე რომ, „კელა-
 ჰტარი კი არა, ეს არის უსარმაზარი მკლავებიანი მან-
 დალი, ჩადგმული ცხელ უდაბნო ადგილებში უჩინარი-
 თვალთ-მაქცის ხელითო,“ ამბობს ერთი სწავლული მო-
 კზაური.

ძირიდან წვერამდე შემოსილია, ეს უდიდესი კელაჰ-
 ტარი საშინელი ეკლებით; ვერ გაჭბედავს მასთან მიახლო-
 ვებას ვერავითარი სულიერი; ორბი და მერაც-კი გაურ-
 ბიან მას გულ გახეთქილები, რა წამს შეამჩნევენ სადმე
 მის სიახლოვეს.

მაგრამ, აი, მოკვდა უდიდესი კელაჰტარი უდაბნოსი.

ჯერ კიდევ ვერას აკლებს მას ძლიერი ქარი; ის ისევე
 დგას უშიშრათ, სწორეთ გაჩერებული; ჯერ კიდევ ბევრს
 ეძინიან იმისი.

ბოლოს ესევეა მას გუნდ-გუნდათ აუარებელი მწერი;
 ძვრებიან მის დახეთქილ და დარღვეულ ქერქში, იკეთებენ
 ბუდეებს. — და აი ის უდიდესი კელაჰტარი, უწინდელი საფ-
 თხური ყოველთა — ხდება ახლა თავ-შესაფარი ძრავალთა.

ლადო აღნაშკილი.

სამეცნიერო გასართობი.

№ 6

ხე ჰურკინჯასი.



ქედი ბნელ ოთახში, ჩამოჯექი ბნელი (თალხი ფურის) კედლის წინ, ანთე ჰატარა წმინდა სანთელი, დაიჭირე ერთ-ერთ თვალთან ძალიან ახლო და ატრიალე თვალის წინ და მის გარშემო. რამდენსამე წამს შეძდეგ იმ ბნელ კედელზე გამოჩნდება წითელი წრე და ამ წრეში შავი რაღაც ხის მაგვარი გამოსახულება. შენიმნავ ამასთანავე, რომ ამ შავი ხის ეველა ტოტები ამოსულია ერთ ჰატარა მრგვალი წერტილიდან და მუდამ მოძრაობაში არიან.



რა არის ეს ხე? საიდან გაჩნდა ამ ბნელ ოთახში, ბნელ კედელზე? არ გეგონოს, რომ ეს, მართლა, საიდან-


ხე ჰურკინჯასი.

მე მოჩინდნ იეოს მოსული; არ გეგონოს, რომ ეს, ვითომ, ოთახში სადმე იმალებოდა და ახლა გამოცხადდა შენ წინ. არა, ამას შორს მებნა არ უნდა. ეს შიგ შენ თვალში იჯდა და ახლა ჩრდილისაებ გამოგესახა ბნელ კედელზე. ეს არის თითონ შენი თვალის სისხლის მხი-



დავი ძარღვების ჩრდილი. ასეა სწორეთ გასულ-გამოსული ძარღვები ადამიანის თვალში. მაშ აბა ახლა შენ თითონ მითხარ: ის რაღაა, რომ შიგ შუა გულში რაღაც შავი წერტილია ცალკე გამოსახული? ჭა, რას შეჭფიქრდი? აბა მოიგონე ამის წინა ნუმერი „ჯეჯილისა“, — „ცდა ძარღვ-ოტტისა“. ეს არის ის მკვდარი წერტილი თვალისა, რომლითაც კაცი ვერასა ხედავს.

ბორა.





გულშემატკივარი მეზობელი.

(იგავი)

რომა კაცმა მეზობელს დანა თხოვა.

— რა ვქნა, შენ გენაცვალე, დანას როგორ დაგიჭერდი, მაგრამ ძლიერ ბას-რია, მეშინია ხელი არ მოგჭრას და არ დაგასახინროსო.

მეორეთ იმავე მეზობელს ასლა ტომარა თხოვა.

— ტომარას გათხოვები, მაგრამ ძირ-გაუარდნილია; რასაც ჩაჭერი, დაგე-

ბნევაო, მიუგო მთხოვნელს მეზობელმა.

მესამეთ ცხენი თხოვა.


— ცხენს კი არა, შენთვის სიცოცხლესაც არ დაგზოგავდი; მხოლოდ ჩემ ცხენს ერთი სამაკელი თვისება აქვს: კაცს რომ ზურგზე შეისუამს და ორ ნაბიჯს გადადგამს, მოჭეუება მაშინვე ტლინკვას, ხტუნვას, ტრიალს და ვიდრე ზედმჯდომს ძირს არ დასცემს, არ დაწინარდებაო.



მაშინ მთხოვნელმა მეზობელს მიუგო:

— მე ძლიერ საწყხალი კაცი ვარ, არ მახადია არც დანა, არც ტომარა, არც ცხენი, მაგრამ, ვხედავ, შენ ჩემზე კაცილებით უბედური ყოფილხარ: მე ჩემის სიღარიბით, როგორც არის, ვდონდიანლობ და შენ კი დღითი-დღე აუცილებელი საფრსე მოგელის: ან შენი ბასრი დანის წერა კახდები, ან დახეული ტომარა დაკლუხავს და ან გიყი ცხენი მოგიღებს ბოლოსათ.

აღ. მ—შეილი.



მგელი გაჭირვებაში.

(იგავი რუსულიდან)



აუმაძღარ მგელს ეელში ძვალი გაეჩხირა. საცოდავი სულს ძლივს ითქვამდა, ხრიალებდა, კვდებოდა.

უცქეროდა მას თავის მეუღლე, ებრალებოდა, დამუოდა, მაგრამ ვერ კი შეელოდა.

მომაკვდავმა უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და ნელი სმით წასჩურჩულა მეგობარო:

— „გაიქე, გენაცვალე, სოფელში, შევედრე ადამიანებს: მოვიდენ, ეგება იმათ მანც მიშველონ რამე“!

მეორე მგელმა ამოიოხრა და უთხრა: „არც ადამიანებისგან და არც ცხოველებისგან ჩვენ არ უნდა ველოდეთ შევლას: რა ჩვენი სიკეთე მოაკონდებათო“!

აღ. ბარნოვი.

ხ ა ლ ხ უ რ ი

(გაგონილი მიაა ახლობის ქალისაგან; ჩაწერილი ლაღო
იაშვილისაგან).

გაცხარებულა თიბათე,
მხარზე გაუდევს ცელია.
ქედლის კარზე მიიბრინა:
— მომართე საბერველია,
დამიფოლადე თოხები,
ნამგალი სათიბელია;
ხელისათვის ნაღი (მუშა) მინდა—
ყანა მაქვს სამარგლელია;
ქალაქშიც უნდა წავიდე,
თხაცა მყავს საყიდელია;
სადილ-ვანშმათ თხა მეყოფა,
სამხარ-საუზმეთ ყველია;
ფუტკარიც სანახავი მყავს,
მაგრამ რა გასამხელია,
თუ ყველა საქმეს მე ვიზამ
მკათათვე რილას მქნელია?



√ ა ნ დ ა ზ ე ბ ი .

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

ერთმა სულელმა ზღვაში ძვირფასი თვალი ჩააგდო და ასმა ჭკვიანმა ვერ ამოიღო.

დაუპატიჟებელი სტუმარი ძაღლზე უარესიაო.

(წარმოდგენილი ვ.ნუე მესხ. კ. გვარამაძისაგან).

კაცი ვერ შეწვდა ცხენსაო-უნაგირს უწყო ტენაო.

(წარმოდგენილი ვანო ლალიაშვილისაგან).

ვინც მდიდარია ფულითა, ის ღარიბია გულითა.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი .

(წარმოდგენილი იოსებ ტაყიშვილისაგან).

ექვსი ფეხი, ორი თავი, ერთი კული.

(წარმოდგენილი თ. რაზიკაშვილისაგან).

თავსა ზის, თავსა კისკისობს, თავს ჰხურავს წითელა ქული, ხმელსა სცემს რბილი გამოაქვს, ის არის საზრდო იმისი.

ერთი რამ არის, წლის მოსაველია, ტყავი გამოსადეგია, ხორცი კი არა-

ა ნ ა გ რ ა მ ა

√ (წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

პირველი მუდამ გეძახის:

„მობძანდით სალოცავათო,
 მობძანდით კელაპტრებითა,
 ფუფალას სანახავათო“.

მეორე არის მასალათ
 საჭმელში მოსახმარია,
 უფერულია, გამხმარი
 ბალახის მინაგვარია;
 ორივეს ოთხი ასოთი
 დაწერა მოსაგვარია.

აკროსტიხი.

(წარმოდგენილი მისივე).

სულით და გულით პატიოსანი,
აქებს, აღიდებს მის დღეგრძელობას;
მისით ამაყობს, თავ მოყვარეობს,
შეხარის, იჩენს მისთვის ქველობას!
ოჰ, რა ზიზლითა შეჰყურებს მის მტერს,
ბოროტსა ჰკიცხავს, ჰგმობს სულელობას;
ლხინათ მიუჩანს მისთვის სიკვდილი,
ოღონდ ეღიროს მის წარმატებას!..

რებუსი

(წარმოდგენილი სანდრო ციმაკურიძისაგან).




ბ

ბაღის სარ-
წყავი მდი
ნარე.

ლ



ბ



ს



ბ





№ V გამოცანებისა.

ზ მ ა: თმა, თავი, თვალი, მამა.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი: 1) ბაყაყი, 2, თოფი, 3, აბრეშუმის ჭია.

ა ნ ა გ რ ა მ ა: თოფი—ფოთი.

უ ჯ რ ე ბ ი ს გ ა მ ო ც ა ნ ა: ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვალა.

შ ა რ ა დ ა: ველი—გველი.

რ ე ბ უ ს ი: მელას რომ კბილი ასტკივა ყვირილს მორთავს.

გამოცანა, ანაგრამა, შარადა და რებუსი ახსნეს თფილისში: სახელოს. სასწ. მოსწავლემ ლაფრენტი დავითულიანმა და გ. ივანაშვილმა, ზ. ნატროშვილმა, გ. ერქომაიშვილმა. გოჭში: ვანო ლალიაშვილმა, დათიკო მაჭავარიანმა, ნიკ. მერაბაშვილმა და ვასო ბეგოიძემ. ქუთაისში: ქუთაისის გემნაზიის მოსწავლე ალვიზი კიზარიაშვილმა. ბათუმში: ბათუმის გემნაზიის მოსწავლე ვახტანგ მჭედლიშვილმა. ზესტაფონში: ფილიმონ გაჩეჩილაძემ. სოფ. ადისუბნაძან: მოსწავლე ვას. ბოჭორიშვილმა. ლანჩხუთში: ივ. ბარამიძემ და სოფ. აკეთის სკოლის მეთხვე განყოფილების მოსწავლეებმა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წყნეთისა.